


1941



# კომუნეზმი



035060 № 6  
1 9 4 1

განმარტავთ  
„კომუნისტი“





„გორაკი უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელმაც დიდი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას“.

ლ 06060


3567

ალექსი მაქსიმეს-ბე გორაკი (პეშოვკი), მწერალი-მთარგმნელი, დაიბადა 1888 წლის 28 მარტს ქ. ნიჟნინოვოგოროდში (ასლანდელ გორაკში) ლაბინი დურგლის ოჯახში.

1906 წლიდან 1913 წლამდე გორაკი ცხოვრობდა საზღვარგარეთ, სადაც დაეხსლოდა ლენინს. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გორაკი აწარმოებდა დიქსა და მრავალურთიან მუშათა მთავრობის სამართალ პოლიტიკური მიღებაზე, მსაჯურული სიყვეფის ოსტატი და პუბლიცისტი.

1936 წლის 18 ივნისს მტრების მხამით მონამლოღმა დიდი მწერლის გულმა შეწყვიტა სიცოცხლე.

„ლენინის შემდეგ გორაკის სიკვდილი ყველაზე მძიმე დანაკლისია ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობისათვის“ (მ ლ ო ტ ვ ი).





# კ დ ე ე

ციფრულ მკვლევარ შუბრისაჲს კლდისა  
ლაშქარ ღრუბლს მიუბინა ღამით;  
ღიღით ადრე ატ დაკარგა წამიც,  
გზას გაუგვა ის ლაქვარდში ცისა;

მაგრამ დატჩა ცენიანი ვახლი  
კლდის ნათქვამი; იგი მარცხდებარცთ  
ღგას, ჩაფიცდეს და წინ გამლილს ფართოდ  
ვლს დაჭყურებს ცრემლიანი თვალით.

თარგმანი ა. სიზინავასი.











# გ ა ი რ ა



## საქივი (ანა ხახუაშვილი)

არავინ იცოდა, რა ეროვნების ან სადაური იყო ზაირა ჩერნოვა. ეს სახელი და გვარი ხარკოვის თავშესაფარში გამოუგონეს. ჩერნოვა იმიტომ, რომ შავი იყო, და ზაირა იმიტომ, რომ შავთვალა ლამაზი გოგონა ბოშის ქალს უფრო მიამსგავსეს, ვიდრე სხვა ვისმეს.

ეს ამბავი 1921 წელს მოხდა. ამბობდნენ, 24 თებერვალს თბილისიდან სასწრაფოდ ჩამოსულ მარშრუტის მატარებლის ერთერთ ვაგონში იპოვესო.

ვაგონის ერთერთ კუნჭულში ჩალაში წაფლულ გოგონას ზევიდან საბანი ეფარა, მაგრამ გონება მიხდილი იყო. ბავშვი იმ წამსვე რკინისგზის საავადმყოფოში გაგზავნეს. მოაბრუნეს, მაგრამ ოთხი თვის განმავლობაში მძიმე ავადმყოფი იყო. მეხუთე თვეს, როცა სიარული დაიწყო, საგრძნობლად გამომჯობინდა. საავადმყოფომ ზაირა ბავშვთა თავშესაფარს გაუგზავნა გასაზრდელად.

თავშესაფარში ზაირა პირველ ხანებში აჩრდილივით უსიტყვოდ დაიარებოდა. განმარტოება და ბნელი კუთხე ძლიერ უყვარდა. არასოდეს ბავშვთა თამაშში მონაწილეობას არ იღებდა. არც მეგობრები აურჩევია. აღმზრდელები ძლიერ ცდილობდნენ, ზაირა როგორმე წახალისებინათ სათამაშოებით, მრავალი გასართობით, მაგრამ ზაირა ყოველთვის თავის დახწევას ახერხებდა, არჩეულ კუთხეს მოსძებნიდა და იყო თავისთვის მარტოდმარტო და უსიტყვო.

მას გასართობებიდან ერთი გრძელნაწნავებიანი დედოფალა ამოეჩემებინა და იმას არ იშორებდა. ბავშვს ძლიერ უყვარდა დედოფალას ნაწნავების დაშლა და დაწვნა, ზოგჯერ ფარულად წითელ კაბაზე ნაზად ხელს უსვამდა და ყურში რალაცას ჩასჩურჩულებდა უცხო ენაზე.

ერთ დღეს ზაირამ მაგიდაზე ფერად მძივებს შეასწრო თვალი. როცა დრო იხელთა, სწრაფად აასხა ძაფზე, თავის დედოფალას გულზე ჩამოჰკიდა და მწარედ ატირდა. იმ დამეს გოგონას დიდი სიციხე მისცა, მთელი დამე გაღიმებული სახით ბოდავდა, ვილაცას ეძახდა და სულ სადღაც მიიწვიდა. მეორე დღეს სიციხე სრულიად გამონელდა და თითქოს უფრო ხალისიანი თვალებით იყურებოდა. იმ დღეს გამოცოცხლებული გოგონა სულ ბარგს ზიდავდა: სკამები, მაგიდა, დედოფალა ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადაჰქონდ - გადმოჰქონდა და მთელი დღე მით ერთობოდა.

ასე ემართებოდა ბევრჯერ ზაირას. მუდამ გაჩუმებული ბავშვი სიციხის დროს გულს იოხებდა და ვერ გაეგოთ, ბავშვი რით იყო დაავადებული. ქინას უწერდნენ, რადგან ციება ეკონათ, და რაკი დიდხანს ხმა ვერ ამოაღებინეს, უფროსებმა გადაწყვიტეს: ბავშვი დეფექტიურიაო, და დეფექტურ ბავშვთა ჯგუფში გასაგზავნად გაამზადეს. მაგრამ ზაირა ერთ-ერთმა აღმზრდელმა გადაარჩინა.

— ამხანაგებო მე წინააღმდეგი ვარ მე გადამწყვეტილებსა. — უთხრა მან სხვა აღმზრდელებს: — დღეს ზაირამ ისეთი რამ გააკეთა, რაც სხვა დროს ბავშვს არ გაუკეთებია. მორიგედ დაენიშნე და, წარმოიდგინეთ, შესანიშნავი წესრიგიანობა გამოიჩინა. სათამაშოები თავის ადგილას დააწყო, მტვერი გაწმინდა, ყვავილებს წყალი დაასხა და ორი მოჩხუბარი ბავშვი უსიტყვოდ ისე გააშველა, რომ გამიკვირდა. მე ვფიქრობ, ბავშვს გონება უსათუოდ სალი აქვს და თუ არ ლაპარაკობს, ალბათ, იმიტომ, რომ რუსული ენა ჯერ არ იცის. მე გთხოვთ ეს ბავშვი ჩემ ჯგუფში დატოვოთ.

ბავშვი დატოვეს. გავიდა თვეები. ბავშვი ახალ გარემოებას და რუსულ ენას ნელნელა



შეეჩვია. რამდენიმე სიტყვა შეისწავლა, მაგრამ განმარტობით ყოფნას ეძალეობდა. მუდამ ნალვლიანი, მაგრამ გონიერი თვალებით იყურებოდა. როცა გოგონას სწავლა დააწყებინეს, მან რუსულ ენაზე წინადადების შედგენა იცოდა, კითხვებზე მოკლედ უპასუხებდა, მაგრამ სხვა-სთან ლაპარაკს მაინც გაუბობდა.

გავიდა წლები. ბავშვი გაიზარდა, დამშვენდა, მეტადრე მაშინ, როცა ის მეშვიდე ჯგუფში გადავიდა. ზაირა კარგად სწავლობდა, მაგრამ ისევესე გულჩათხრობილი და მოკრძალებული იყო. ბავშვი ყველაზე ძლიერ ხატვამ გაიტაცა, ყოველ თავისუფალ დროს განცალკევებით იჯდა და ხატავდა. საშინელი სევდიანი სახე ჰქონდა ხატვის დროს. ბევრჯერ თვალისაგან უცებ მოწყვეტილი ცრემლი ქალაღდზე რაკუნით რომ დაეცემოდა, ბავშვი შეკრთებოდა, შეშინებული სახით მიიხედ-მოიხედავდა, ცრემლი ხომ არავეინ დაინახაო, და სველ ადგილს სწრაფად ამშრალებდა.

ზაირას მთები არასოდეს არ ენახა, ის კი იჯდა და მთავრებილებს, მთვარით შენათებულ ისეთ ბუმბერაზ მწვერვალებს ხატავდა, რომ ყველას აცვიფრებდა.

ზაირამ შეამჩნია, რომ როცა კი მთებს ხატავდა, იმ ღამეს სიცხეს აძლევდა, ბოდავდა, ხან იცინოდა, ხან სასოწარკვეთილი ხმით ვიღაცას უხმობდა და სულ სადღაც მიიწევდა. მეორე დღეს უფრო დამშვიდებული დგებოდა, სიცოცხლის ხალისი ემატებოდა, თვალბეში კმაყოფილების ცეცხლი უგიზგიზებდა.

ამ განძს ზაირა ისე მალავდა, როგორც ძვირფას განძს, არასოდეს ერთი სიტყვითაც კი არავისთვის გაუზიარებია ის ბედნიერება და ტანჯვა, რასაც ამ ბოდვის ჟამს განიცდიდა.

შეუმჩნევლად გაირბინეს წლებმა. ზაირა ბავშვთა თავმესაფარის ხელის შეწყობით სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა.

ერთ დღეს სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ დარბაზში ზაირა ვიღაც შავგვრემან სტუდენტ ქალს შეეფეთა. თვრამეტ-ცხრამეტი წლის გოგონა ისეთი მოკისკისე თვალებით მოდიოდა, ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ზაირას სადღაც ენახა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს. ერთმანეთს თვალბეში შეხედეს და უნებურად შედგნენ.



— თქვენ ძლიერ მეცნაურებით, — უთხრა გოგონამ, და ზაირას მოეჩვენა, რომ ეს კილო და ხმა სადღაც გაეგონა. უცნობი ქალი ღიმილით შეაცქერდა.

— მეც თითქოს სადღაც მინახავხართ, — ძლივს წარმოთქვა ზაირამ და მღელვარებით აენტო.

— კავკასიელი ხომ არ ხართ?

— რაში მეტყობა?!

— იქაურ ტიპს ჰგავხარ, არ ვიცი სომეხს, თუ ქართველს. მე რომ დავინახეთ, გულში გავიფიქრე: ალბათ, თბილისელია და იქ თუ მინახავს მეთქი.


— არა, იქ ვერ მნახავდით, — ყრუდ უთხრა ზაირამ, აიღეწა და, რომ გოგონას არ დაესწრო, თვითონ ჰკითხა:

— განა თქვენ იქაური ხართ?!

— ნაწილობრივ... დედა იქაურია, ქართველი. მამა კი უკრაინელი. მეც ქართული სახელი მქვია, ნინა, გვარად რადკო. თქვენი გვარი?!

— ზაირა ჩერნოვა, — დაფიქრებული კილოთი უთხრა ზაირამ და რადკოს ხელი გაუწოდა. ნინამ მხურვალედ ჩამოართვა ხელი და უმალვე რაღაც კეთილი განწყობილება იგრძნო ზაირასადმი. ქალბემა დარბაზში გაიარეს, სურათები დაათვალიერეს, თანამედროვე მხატვრობასა და კლასიკურ შემოქმედებაზე ახალგაზრდული გატაცებით ილაპარაკეს და უფრო სიახლოვე იგრძნეს ურთიერთისადმი. მას შე-





მდეგ ისინი აკადემიაში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მოკლე ხანში დამეგობრდნენ კიდევც.

ერთ დღეს ზაირა რაღაც ატაცებულ გუნებაზე იყო. ღამე ხატავდა და მეორე დღე ხარკოვის ქუჩებში ხეტიალში დააღამა. უცებ ნაცნობ ქუჩაში ისე გაჩნდა, თვითონაც არ შეუძინევია. მარცხნივ ღამაზი ბალი, მის გვერდით სამსართულიანი სახლი მაგნიტური ძალით იზიდავდა.

ზაირა სადარბაზო კართან მივიდა და ზარი დარეკა. კარი გაიღო. ზაირა კიბეზე ავიდა. თავწაკრულმა შინამოსამსახურემ იცნო და მხიარული კილოთი მიიგება:

— თქვენ ნინა აღექსევენა გნებავთ? შინაა, მობრძანდით.

ზაირა დერეფანში შევიდა და მარჯვენა კარები ფრთხილად დააკაკუნა. შიგნით სკამმა დაირახუნა, ფეხის ხმა მოისმა და კარი გაიღო.

— ოჰ, ზაირა, რა კარგ დროს მოხვედით! — სიხარულით შეეგება ნინა ზაირას, მკლავზე ხელი მოსჭიდა და პირდაპირ მოლბერტთან მიიყვანა.

— ერთი კვირაა ამ სურათზე ვმუშაობ. თბილისში რომ ვიყავ, რამდენიმე ეტიუდი გავაკეთე. ერთ-ერთი მათგანი დიდ ტილოზე გადავიტანე, დღეს მოვათავე და საშინლად ვლელავ. ძლიერ მინდოდა თქვენ გენახათ და კიდევ მოხვედით! აბა, შეხედეთ.

ამ სიტყვებით მხატვარმა მოლბერტი სინათლისაკენ შეატრიალა.

— აი ჩემი საყვარელი ადგილი. ამას მთავშინდა ჰქვია. აქედან მთელი თბილისი ამფითეატრივით მოჩანს... მაგრამ, ზაირა, რა დამეგობრათა?!

მხატვარი რომ ზაირასკენ შემოტრიალდა. შეკრთა, სიტყვა ენაზე შეეყინა: ზაირას საშინელი ფერი დასდებოდა, თვალები უფსკრულივით გაჰხლომოდა.

— ზაირა, ცუდადა ხართ? მითხარით, რა დამეგობრათათ! — ნინამ ამხანაგს ხელი მოჰხვია, მეორე ხელით სკამი მიაშველა და წყლის ჭურჭლისაკენ გაქანდა.

— არა მიშავს რა, ნუ შეშინდებით, თავბრუ დამეხვია... — ნაწყვეტნაწყვეტად წარმოთქვა ზაირამ, თვალებზე ხელი მოისვა და სურათს ისევ შეხედა. ათი წუთის განმავლობა-

ში ზაირას სურათისათვის თვალი არ მოუშორებია. ნინას გულში უხაროდა: ეს ხანგრძლივი ცქერა მან თავის გამარჯვებად მიიჩნია და სიჩუმე არ დაურღვევია. ბოლოს წახალისებულმა შემოქმედმა ველარ მოითმინა, სურათზე მთაწმინდის ასავალთან ფანქრით უჩვენა და გამხნეებულ კილოთი თქვა:

— აი, აქ პატარა ფარდული აკლია. უსათუოდ უნდა დაეუმატოთ. პურის გამყიდველი კაცი მრგვალი ქულით. ო, იცით, ქართული პური რა გემრიელია?!

როცა მხატვარმა ეს თქვა, ზაირას გააჟრჟოლა, თვალები ფართოდ გაახილა, მერე ჩახუჭა, მაგრამ ენის მობრუნება ვერ მოახერხა. ტვინში რაღაც სიმძიმე იგრძნო. თვითონაც ძლიერ უკვირდა, რად მალავდა მას ამ თორმეტი წლის განმავლობაში, რაც მას მძიმე ლოდვიით აწვა. ვერ გარკვეულიყო, რა უშლიდა ხელს, რა ძალა დაუფლებოდა მის სულიერ განწყობილებას, ვისთვისმე გაეზიარებინა ის, რაც მუდამ თვალწინ ედგა, რაც ასე სტანჯავდა.

მხატვარი ამხანაგი მეორე ოთახში ვალერიანის წვეთებისათვის გავიდა. როცა ზაირას ზურგისაკენ კარი მოხურა, ზაირამ ხმამაღლა წამოიყვირა „პური, პური“ — და უცებ ბურანმა მოიცვა მთელი მისი არსება. ქალი ანთებულ სახით მიეყრდნო კედელს და ბოდვას მოჰყვა. ნინა რომ შემოვიდა, ზაირა ვერ იცნო, შიშით გული შეეკუმშა, მიუახლოვდა, ყური დაუგდო და განცვიფრებული აკანკალდა: ზაირა უცხო ენაზე რაღაცას გოდებდა. საშინელი სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა და ვილაცას უძახდა:

— სილვა, ყაიმაზ, ყაიმაზ!

— ზაირა, ზაირა, რა მოგდით, ზაირა?! — ათროლოებულ ხმით ჩაეკითხა ნინა, წამალი მაგიაზე დადგა, კარი გააღო და გავარდა.

მეორე ოთახიდან აჩქარებული ფეხის ხმა და ხმაური მოისმა. კარი ისევ გაიღო და ოთახში ნინას დედა და უფროსი და შემოცვივდნენ. ნინა ხელების მტვრევით მოჰყვებოდა მათ და დედას ევედრებოდა:

— დედა, მიშველე, რაღა ვქნათ, ზაირას უშველეთ რამე!



ზაირა ხმაურობაზე გამოერკვა, თვალები გა-  
ახილა და დატანჯული სახით გაიღიმა.


— ნუ გეშინიათ, გული შემიღონდა. უკვე გა-  
მიარა, — თქვა მან და დაქანცული თვალებით  
ყველას სათითაოდ გადახედა. ზაირა ცდილობდა  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბდა მათ თვალებში ამოეკიანა, ისეთი რამ  
ხომ არ წამოსცდა, ხომ არ გასცა უნებური წა-  
მოდახილით თავისი საიდუმლოება. მაგრამ მა-  
ლე დარწმუნდა, რომ მათ არაფერი არ გაე-  
გონათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## სამხალრო გოპომბრაუნი

### ინსაპლე მანძილის განსაზღვრა




მზვერავს ხშირად დამოუკიდებლად უხდება საკითხის გადაწყვე-  
ტა: რამდენი ნაბიჯია საზღვრამდე.

როგორ უნდა გადაჭრას ეს საკითხი? ხომ არ დაიწყებს მზვერა-  
ვი ნაბიჯებით მანძილის ზომვას! აქ საჭიროა ზოგიერთი წესის ცოდნა  
და მანძილის თვალთ გაზომვის შესწავლა.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა დაიხსოვოთ აი რა: 1000 მეტრზე  
თითქმის შეუძლებელია ცხენოსანის გარჩევა ქვეითა ჯარისაგან;  
700 მეტრზე შესაძლებელია მომავალი კაცის ფეხების მოძრაობა; 200 მეტ-  
რზე შეიძლება კაცის თავისა და მხრების ნაკვეთების გარჩევა; 150 მეტ-  
რზე მოჩანს ხელის კიდურები, იარაღი და ტანსაცმელი; 70 მეტრზე  
კი — თვალები, ცხვირი, თითები.

ამგვარად, თუ მზვერავეი ხედავს, როგორ მოძრაობს ფეხები მო-  
მავალი კაცისა, მაშ, ის მისგან 700 მეტრზე შორს არაა.



მანძილის განსაზღვრა შეიძლება კიდევ ასე: ცნობილია, მაგალითად,  
რომ ტელეგრაფის ბოძებს შორის 50 მეტრია. ყურადღება უნდა მი-  
ექციოთ ამ მანძილს (50 მეტრს), დაიხსოვოთ და აზრით გადაზო-  
მოთ სამიზნომდე: რამდენჯერ მოთავსდება ეს მანძილი, შემდეგ ეს  
რიცხვი გადაამრავლოთ 50-ზე. ამავე წესით შეიძლება უკვე ცნობი-  
ლი მანძილის 100, 200, 300 მეტრამდე განსაზღვრა, მაგალითად:  
სკოლიდან კლუბამდე, სახლიდან კოლმეურნეობის ეზომდე.




და ბოლოს, ასეც შეიძლება მანძილის განსაზღვრა: გაჭიმეთ მარ-

ჯვენა ხელი საზვერავის მიმართულებით, ცერი დააყენეთ დანარჩენი  
თითების პერპენდიკულარულად, შემდეგ მარჯვენა თვალი (მარცხენა  
დახუჭეთ) დაუმიზნეთ თითის მარცხენა მხარიდან საზვერავს. თითის გა-  
უნძრევლად დახუჭეთ ახლა მარჯვენა თვალი და მარცხენით გახე-  
დეთ, გამოიანგარიშეთ, რამდენი ნაბიჯით ან მეტრით გადაინაცვლა  
თითმა საზვერავიდან (ვთქვათ, 20 მეტრზე). ეს ნეპარაუდევი ზომა  
გადაამრავლეთ ათზე და მიიღებთ მანძილს საზვერავამდე.

თვალთ განსაზღვრული მანძილი, რასაკვირველია, არ იქნება მა-  
ინცდამაინც ზუსტი, მაგრამ თუ ხშირად ივარჯიშებთ, მიეჩვევით და-  
ახლოებით სწორ განსაზღვრას.







ჩვენის ჩჩევა

ლაშქრად წასვლის წინ შეთანხმდით თქვენს ნიშანზე, რომლითაც, საჭირო შემთხვევაში, შეიკრებებით ან მოძებნით რომელიმე ამხანაგს. ნიშნად შეიძლება მიიჩნიოთ პიონერული საყვირის მოკლე ან გრძელი ძახილი.

\* \* \*

სველი მიწა სხეულისაგან აუარებელ სითბოს იტაცებს, ხოლო ძილის დროს სხეულის გაცივება იწვევს ადამიანის ორგანიზმის დაკავშირებას რევმატიზმით, პლევრიტიტით და სხვა, ამიტომ მასზე ძილი არაა სასურველი.

\* \* \*

რუკა არ დაგზიანდება, თუ მას გაახვევ გამოვირვალე ცელოფანის ქაღალდში.

\* \* \*

ნავით გაუტენილი აგური კარგ ალს იძლევა და დიდხანაძ ძლებს. ღამისთვისას ამან შეიძლება ღამის მაგივრობა გასწიოს.

მეტად სახალისო საქმეა პიონერებისათვის ზაფხულში მთებსა და ისტორიულ ადგილებში წასვლა. ასეთ ექსკურსიებს მრავალგვარი სარგებლობა მოაქვს. სუფთა ჰაერზე ყოფნა აჯანსაღებს სხეულს, უცნობი ადგილების ნახვა და შესწავლა აფართოებს ცოდნას, ამდიდრებს გონებას და ა. შ.

მაგრამ ბევრი მნიშვნელოვანი წვრილმანის ცოდნის გარეშე ექსპედიციაში წასვლა როდია პიონერული საქმე, ეს მხოლოდ ქარაფშუტობაა.

ნამდვილი პიონერი კი, განიზრახავს რა ასეთი საქმის გაკეთებას, დიდხანს და შეუპოვრად უნდა ემზადოს ამისათვის, უნდა შეისწავლოს ყველაფერი, რაც მას შეიძლება დასჭირდეს.

ჩვენ ნაწილობრივ დაეხმარებით ასეთ პიონერებს შემდეგი რჩევით:

საბანაკო აღზინი

საბანაკოდ, ზაფხულში, უმჯობესია ბორცვოვანი ადგილი, ან წიწვოვანი ტყე (ფოთლოვანი ტყე უფრო ნოტიოა) მომცრო კლდეზე (წვიმის დროს წყალი არ დაგუბდება). ნიადაგი სასურველია ქვიშიანი იყოს. აუცილებელია ბანაკის შორიახლოს იყოს: სასმელი წყალი, ფიჩხი, კარგია მოჩანდეს ბუნების ლამაზი წიალი.

ჭიღობის ღმზინი

ასეთი ღმზინის მომზადება ადვილია. ჭიღობის დასაწნავი დაზგა შედგება ათიოდე პალოსაგან, ათიოდე კანათის თოკისა და გრძელი ჯოხისაგან.

გამამგრეთ ხუთი პალო ერთმანეთისაგან 15 სანტიმეტრის დაშორებით, მათ პირდაპირ 1,5 მეტრზე მეორე ხუთი პალო გამამგრეთ.

პალოებს შორის გაჭიმეთ ხუთი თოკი და იმავე პალოებისაგან გაჭიმეთ კიდევ ხუთი თოკი, 1, 5 ჯერ უფრო გრძელი, ვიდრე ჭიღობის სიგრძეა ნავარაუდელი. თავისუფალი ბოლოებით ისინი გრძელ ჯოხს მიამაგრეთ.

ასწევენ რა ზევით ჯოხს და მასთან ერთად ამ ჯოხიდან გამომდინარე თოკებს ისე, რომ მათ შექმნან კუთხე დაზგის თოკებთან, ჩადებენ შექმნილ კუთხეში ღერწმის ან ჩალის კონას. შემდეგ, იჭერენ რა თოკებს დაჭიმულს, დაუშვებენ პირველ კონას და გაჩნდება მეორე კუთხე, მაგრამ უკვე ქვევიდან. იქ იდება მეორე კონა. ჯოხს გაჭიმული თოკებით კვლავ ასწევენ ზევით და ა. შ.





## ბ ა მ ხ რ ი

ასანთი ადვილად სველდება, ამიტომ სალაშქროდ საჭიროა თვითუფლი ასანთის თავი გალხობილ პარაფინში ამოავლოთ და ისე წაიღოთ. პარაფინი ნესტს არ იკარებს, ხოლო მაგარ საგანზე გასმით იფშენება, ისე რომ ასე შენახული ასანთი ყოველთვის გაგიწევთ სამსახურს.

გახსოვდეთ: კოცონი არ შეიძლება დაინთოს დაცული ტყის მიდამოში (აკრძალულია), აგრეთვე ტორფოვან ადგილას, ხეების (განსაკუთრებით კი გამხმარი ნაძვის ხეების) ახლოს.

ვიღრე მიწა კოცონის დასანთებ ადგილას არ გასუფთავდება ჩხრიმლეებისა და ფოთლებისაგან, კოცონის დანთება არ შეიძლება.

კოცონი სასურველია დაინთოს ისეთ ადგილას, სადაც ახლოს წყალია და არც ქარები ხვდება. წასვლისას კოცონი სრულიად უნდა გააქროთ. ადვილი შესაძლებელია პატარა ნაპერწკალმა დიდი ხანძარი გამოიწვიოს.




მშრალი დაუღობი ნაძვის, მუხის, არყის და ღვიის ჩხრიმლეები იძლევიან დიდსა და თითქმის უკვამლო ალს. ფისიანი ტოტები ფიჭვისა და სოჭისა ბევრ ბოლსა და ნაპერწკლებს უშვებენ.

კოცონის ასანთებად საუკეთესო მასალაა მშრალი ფიჭვის ან ნაძვის ტოტები. მათ დიდი ალი არა აქვთ, მაგრამ საკმაო სითბოს იძლევიან ცეცხლის გასაჩაღებლად. (ამით სარგებლობა უმთავრესად წვიმის დროსაა საჭირო).

## ჩანთა (ჩიუკუპაკი)

გამგზავრების წინ იყავი ყურადღებიანი, არაფერი დაგავიწყდეს! მგზავრობისას სასხვათაშორისო არაფერია, ყველაფერი დიდმნიშვნელოვანია.

ჩანთაში, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან, პირველ განყოფილებაში მოათავსე: ფაქიზად, სწორკუთხოვნად დაკეცილი თერთრული (გახსოვდეს, რომ თვითთულ პატარა ნაკეცსაც შეუძლიან გადაგიტყაოს ზურგი). მეორე განყოფილებაში ძირში ჩადე ქვაბი, ტოლჩა და კოფი, ჩანთის ერთ-ერთ ნაპირა ჯიბეში მოათავსე: პირსახოცი, საპონი, კბილის ფხენილი, ჯვარისი. მეორე ჯიბეში — „საავარიო“ საგნები: ნემსი, ძაფი, სამი-ოთხი სამარაგოლილი, სანიტარული ინდივიდუალური პაკეტი ბამბით, ბინტი და იოდით. საკვები-სათვის შეიკვრეთ პარკი და მოირგეთ აი ასე, როგორც უკანასკნელ ნახატზეა ნაჩვენები.



ჩ ვ ე ნ ი რ ჩ ე ვ ა

ვახელინის ზეთი, გამდნარი ნაფტალინთან ერთად, საუცხოო მაზია, რომელიც კანზე წაცხებული 2-3 საათით იცავს სხეულს კოლოფბისაგან.

\* \* \*

ზედა ტანსაცმელზე თანაბრად გადაფარებული ჩალა სხეულს ათბობს დაანლოებით ისევე, როგორც ცხვრის ტყავი, და ღამის თვეისას მას შეუძლია საბნის მაგივრობა გასწიოს.

\* \* \*


ელვის დროს ნუ გაჩერდებით მაღლა, შიშველ გორაკზე, ან ხმელი ხეების ქვეშ.

იციით რომელ ხეებს უფრო ეტანება მეხი? ყველაზე მეტად — მუხას, შემდეგ: ნაძვს, ტირიფს, ჩინარს, სოჭსა და წიფელს.





სანერკო ქლანგი



მიღის, მიღის, მიგზუზუნებს,  
მტერს შეასწრო ტანკმა თვალი,  
გადათელა ჯეზირები,  
გაღიარა მთა და ბარი.

მიწას ზარავს ფრთაბაზულილი  
ჭუსილი და ტყვიის წვიმა,  
მიღის ტანკი, გმირის ქალას  
თვალეზიდან ცეცხლი სცვივა.

მებრძოლს ფიქრი არ უკრთება:  
ვაჟაკობის სხივი მოსავს,  
გულს უხარებს განთიადი  
და ლაშვარდში მზის ამოსვლა.

მტერს არ უფრთხის, მიაგორებს  
ამ ვეება ტანკის რისხვას,  
ფხვალგულმა თუჯის სრბოლამ  
თითქოს ფრთები გამოიხსა...

მებრძოლს გული არ უკრთება,  
გადათელა ხე და ფერდი,  
საფრთხილსთვის თავს გასწირავს,  
დაეცხრილოს თუზინდ მკერდი!

მიღის, მიღის, მიგზუზუნებს.  
მტერს შეასწრო ტანკმა თვალი,  
გადათელა ჯეზირები,  
გაღიარა მთა და ბარი.







# თერთაღები

ევა ჩაქალიძე

ისევ, დიად, ისევ და ისევ ფკიადღები.  
 მიღის ქეთინო კოლმეტივში დედანთან, რომ ანაკოს და ან-  
 ვეროს თავისი წლიური ნაშრომის ჯილდო, სწავლის ხვავი, ცოდ-  
 ნის ნიშანი.


მიღის ქეთინო ვიწრო ბილიკით, რუს მიმართულებით რომ  
 მიიკლაკნება. უსმენს რუს ლიკლიკს, ნიავისაგან შეფრიალებულ  
 ფოთლებს უფიქრს, მზვნიერი თვალები უბრწყინავს მისი სნივბი-  
 ვით, გრძელ და მაშვალივით შავ წამყამებს ანამხამებს და ილიმება  
 ყაყაროს ფერი ტუჩებით.

აი, დანტკბი, ქეთინო, რუს პირას ამოსული ლაღი ყვავილით,  
 ის ფენი თვალბივით ლუკჯიბა და მიფიღვფიღი...

აი ფხვდღე ბალახებს, რუს ნაპირბაზე რომ ბაწოლილან, სომ  
 არ დამთვრალან ფენი სიფღერის შარბათით?

აი ბუნება თავისი მრავალფეროვნებით, აი ცოდნისაკენ, ცხოვ-  
 რებისაკენ მიმავალი ფაკთე და თავისუფალი შარბაზეა.

ყვალაფერი ფენია ქეთინო, ბაინაკე, მოინმამე, წაიღე ბუნების  
 სამყაროდან რაც ბინდა, მხოლოდ ბაიყარღე ქვმენისათვის საბირო  
 და სანამბო!



პიონერებო! პირველი ივლისისათვის გამოვა „საბავშვო კალენდრის“ მეორე ნაწილი (ივლისი-დეკემბერი).



# მეჩაბმა გემოიხნო

(ამოცანა — პიესა)

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი :

- |          |                       |
|----------|-----------------------|
| 1. შალვა | 5. შოთა               |
| 2. ლიანა | 6. ნუგზარი            |
| 3. მერაბ | 7. თეიმურაზი          |
| 4. ეთერი | 8. პიონერხელმძღვანელი |



(ჭაფხულის დღის პიონერ-შანაჟში, პიონერები მხიარული ჟრიაბულით გამოდიან ფილმი, სცენა სკოლის ქვეშ გრძობი სკამებზე დგას).

**შალვა** — ამხანაგებო, ჯერ ჩვენი ხელმძღვანელი არ მოსულა. ჩვენს განკარგულებაში ნახევარ საათზე მეტია, მოდი ერთ თავსამტვრევ ამოცანას გეტყვი. უბის წიგნაკები და ფანქრები ყველა თქვენგანს აქვს, დროსაც ბევრს არ წაგვართმევს. აბა, დავსხდეთ სკამებზე და დავიწყოთ. (მოუბრუნდება ნუგზარს) ნუგზარ! დაწერე რომელიმე სამნიშნიანი რიცხვი, ისე, რომ მე არ ვიცოდე, და გადაეცი ვინმე სხვას.

(ნუგზარი წერს, შემდეგ ფურცელს გადასცემს მის გვერდით მჯდომ ლიანას).

**ლიანა** — შალვა! რა ვუყო მე ამ რიცხვს?

**შალვა** — შენ მაგ სამნიშნიან რიცხვს მარჯვნივ მიუწერე ისევე ის რიცხვი, რაც ნუგზარმა გადმოგცა, და მერე გადაეცი მერაბს.

**ლიანა** — არის! (ასრულებს მითითებას).

**შალვა** — მერაბ, ეგ ექვსნიშნიანი რიცხვი 13-ზე გაყავი.

**მერაბი** — (ღიმილით) ბიჭო! ცამეტი ცოტა კვიმარტიანი რიცხვია და ვაითუ არ გაიყოს, ფრთხილად იყავი, არ შერცხვე!

**შალვა** — ნუ შიშობ, თუ გაყოფა შეგიძლია, გაყავი, ჩემი შერცხვენის ნუ მოგერიდება, გაყავი და განაყოფი შემდეგ ამხანაგს გადაეცი. (მერაბი ანგარიშობს, შემდეგ ეთერს გადასცემს ფურცელს).

**ეთერი** — ბე რაზე გაყო, შალვა, ეს შენი „ჯადოსნური“ რიცხვი?

**შალვა** — ჯადოსნობა აქ არაფერ შუაშია, აქ ცოტა გონების ამუშავებაა საჭირო, ეთერ-ქალო! გაყავი ეგ რიცხვი 11-ზე და განაყოფი გადაეცი შემდეგს.

(ეთერი ასრულებს შალვას ნათქვამს).

**შოთა** — (ჯერ რიცხვს დახედავს, მერე შალვას შეხედავს და სიცილით ეტყვის) მეგობარო! ჩვენ რაღას გვიბრძანებთ? კიდევ გაფყოთ რამეხვებს რიცხვი?

**შალვა** — გაყავი ეგ გადმოცემული რიცხვი 7-ზე, განაყოფი სუფთა ქალაღზე ამომიწერე, დაკეცი ქალაღი და მე გადმომიცი.

**შალვა** — (გამოართმევს ქალაღს, არ გაშლის, ისე გადასცემს ნუგზარს). შენ, ჩემო ნუგზარ. ალბათ, უკვე დაგავიწყდა, რომელი სამნიშნიანი რიცხვი დაწერე, არა? აი, გახსენი ქალაღი და იხილე შენი დაწერილი სამნიშნიანი რიცხვი.

**ნუგზარი** — (ქალაღს გამოართმევს, გაშლის, განცვიფრებული ქალაღიდან თვალებს შალვაზე გადაიტანს, შეხედავს, მერე ამხანაგებს მიუბრუნდება).

ამხანაგებო! მე მართლაც ეს სამნიშნიანი რიცხვი დავწერე. პირადად მე ძალიან მიყვირს, რომ ამდენი მოქმედებების ჩატარების შემდეგ ამოიცნო ის რიცხვი.

**მერაბი** — ნუგზარ დაასახელე შალვას გადმოცემული სამნიშნიანი რიცხვი, მე აქ მაქვს შენი პირველად დაწერილი რიცხვი, შევადარებ, რომ ჩვენ უეჭვოდ დავრწმუნდეთ შალვას გამოცნობის უნარიანობაში.



**წუმჯარი** — აქ საეჭვო არა არის-რა, ჩემმა დაწერილმა რიცხვმა რამდენიმე ამხანაგის ხელში გაიარა. (ასახელებს) 233. არის თუ არა სწორი?

**მერაბი** — სწორია, მეგობრებო! სწორია. ახლა საჭიროა ყველანი ჩავუფიქრდეთ და გამოვიცნოთ დაწერილი სამნიშნიანი რიცხვის ამოცნობის ხერხი. (სიჩუმეა) ყველანი თავიანთ უბის წიგნაკში ანგარიშობენ.

**თეიმურაზი** — შალვა! სადა გვაქვს დრო თავის სატეხად, გვითხარი, რაშია საქმე და ამით ვაათავე, რას გვაწვალებ ყოველთვის მაგ შენი მართლაც თავსამტკრევი ამოცანებით.

**შალვა** — არა, მეგობრებო! დაუფიქრდით. თეიმურაზი ჩემის აზრით, მართალი არ არის. თავსამტკრევი ამოცანა იმისათვის არის, რომ განვითაროს ჩვენში სწორი და სწრაფი აზროვნების უნარიანობა. გააღვიძოს ყველა ჩვენგანში სურვილი ყოველივე ჩვენთვის უცნობის ამოცნობისადმი და არა ის, რომ უღარდელად, უშრომლად და თავშეუწუხებლივ მივიღოთ პასუხი, როგორც ეს თეიმურაზმა მოინდომა.

**თეიმურაზი** — (დარცხვნილი) ბიჭო! როგორმე სხვანაირად დაგვისვი კითხვა, ეგებ სხვები მაინც მიხვდნენ, თუ მე ვერ მივხვდები.

**შალვა** — ეგ ადვილი საქმეა, მაგავე ამოცანას მეორენაირადაც ამოგახსნევინებთ; პირადად შენ კი, ჩემო თეიმურაზ, თუ მოინდომებ, რატომაც ვერ გამოიცნობ, სხვაზე ნაკლები რითა ხარ? აქ საქმე სურვილზე და შრომის უნარიანობაზეა დამოკიდებული. (მოუბრუნდება ყველას) დაწერეთ სამნიშნიანი რიცხვი, მიუწერეთ მარჯვნივ პირველად დაწერილი რიცხვი, ამგვარად მიღებული ექვსნიშნიანი რიცხვი, სადაც ერთი და

იგივე რიცხვი ორჯერ მეორდება, გაყავით 1001-ზე და ნახეთ, მიიღებთ თუ არა პირველად დაწერილ სამნიშნიან რიცხვს.

**მერაბი** — 1001 ხომ 13, 11 და 7-ის ნამრავლია, მე უკვე აგრეც ვსინჯე, მაგრამ მაინც ვერ მივხვდარვარ რაშია საქმე.

**შალვა** — მერაბ! დაუკვირდი კიდევ ცოტაც, სინჯე სხვადასხვა მაგალითებზე აღნიშნული წესით სამნიშნიანი რიცხვის ამოცნობა, და საქმის ვითარებასაც მიხვდები.


**მერაბი** — (რამდენიმე მაგალითის გაკეთების შემდეგ გახარებული წამოიძახებს) ახლა კი მივხვდი, რაშია საქმე: ექვსნიშნიანი რიცხვი, სადაც სამნიშნიანი რიცხვი ორჯერ ერთი და იგივე ოდენობით მეორდება, 13, 11 და 7-ზე გაყოფით, ან და ამავე რიცხვების ნამრავლზე 1001-ზე გაყოფით, განაყოფში იძლევა პირველად დაწერილ სამნიშნიან რიცხვს და რადგანაც რამდენიმე მაგალითზე შემოწმდა ეს წესი, აშკარაა, ექვსნიშნიანი რიცხვი, სადაც სამნიშნიანი რიცხვი ერთი და იგივე ოდენობით ორჯერ მეორდება, ასეთი თვისების მატარებელი ყოფილა. (შალვას) მართალია თუ არა, შალვა?

**შალვა** — მართალია, ჩემო მერაბ! გამარჯვებული იქნება ყოველთვის ის ვინაც ცნობისმოყვარეობასთან ერთად შრომის და აზროვნების უნარი აქვს. ახლა კი ჩვენი ექსკურსიის ხელმძღვანელიც მოდის და, ჩვენი გეგმის თანახმად, გავუდგეთ გზას, დავათვალიეროთ ამ ახლომახლო არსებული სხვადასხვა ისტორიული ძეგლები. (პიონერები მხიარული სიმღერით ეგებებიან ხელმძღვანელს).

(ფარდა).







# კუდბუთუთა

მას დედამ კუდბუთუთა უწოდა, დეკიანებ-  
ში მიატოვა და თავად ბარში მიმავალ მელი-  
ებს გაჰყვა. მარტოდ დარჩენილმა კუდბუთუ-  
თამ თავისი ყრობა მიუვალ მთებში გაატარა.  
თაგვებზე ნადირობდა, უფრო ხშირად მშიერი  
ათენ-ალამებდა, მაღლიდან დაჰყურებდა ტუ-  
რფა ველებს და რაც ხანი გადიოდა, სითბო  
და ბარი ენატრებოდა, მარტოობისა ეშინო-  
და; იშვიათად ხვდებოდა მეგობრებს, შეხვე-  
დრისთანავე ბალ-ვენახებზე ჩამოუგდებდნენ სა-  
უბარს, ქათმების სხენებაზე ზეცას შეაშტერდ-  
ბოდნენ და ხაოდნენ ჩატეხილი ხმით.

ერთხელ კუდბუთუთა ჩვეულებისამებრ დე-  
კიანში იწვა, ნაღვლიანად დაჰყურებდა ბარს,  
ფიქრად მოსგლოდა მთების დატოვება... იფი-  
ქრა და გადაწყვიტა: იღუმალ შესულიყო ბალ-  
ვენახებში, ეგემნა ნაქები ხილეულობა. ასეც მო-  
იქცა. შეეჩვია ერთ გლეხის კარმიდამოს და  
ყოველ ღამე დადიოდა სანადიმოდ.

ერთხელ ნადიმი გაუგრძელდა. თენების  
ჟამს დაბრუნდა სოროში, დიდხანს ეძინა და  
რომ გაეღვიძა, მოშივნოდა. ზანტად გამოვი-  
და გარეთ და სოფელს დახედა, დახედა და  
გაკვირვებული დარჩა: გლეხებს თავი მოეყა-  
რათ, ბალ-ვენახებს აერთიანებდნენ, ლობეებს  
ანგრევდნენ და მაღალ მესერს ავლებდნენ გარ-  
შემო. დაღონებული კუდბუთუთა ბინდს შეჰ-  
ყვა სოფელში, დიდხანს უარა მაღალ მესერს

გარშემო, უარა და მშიერი, გულნაღვლიანი  
დაბრუნდა უკან. შარახე რამდენიმე ნაცნობს  
გადაეყარა, სევდიანი თვალები შეანათეს ერ-  
თიმეორეს და თავდახრილები დაჰყვნენ გზას.  
კუდბუთუთა სოფლის ცვლილების ამბავს და-  
ეფიქრებინა: ერთი ადვილად მოტყუვდებოა,  
მაგრამ...

გაერთიანებული გლეხები კი... — ბოლოს  
სახე გაუნათლდა, შედგა, გადახედა მეგობ-  
რებს, წინ შემოუარა.

— შესდექით! — ომახიანად დაიძახა მან,  
მაღლობზე შეხტა, ხმა ამოიკეთა, ვაიცინა.

ყველა შედგა. სმენად გადაიქცნენ მელი-  
ები.

— გლეხებს დიდი ხანია ვატყუებდით! —  
დაიწყო კუდბუთუთამ. — ერთს სად არ გა-  
ექცევი, სად არ შეუქძვრები, ეხლა კი... გაეშ-  
მაკდნენ; ეხოებს მაღალი ლობეები შემოავლეს,  
ჩვენს საკბილო შინაურ ფრინველებს ძნელად  
თუ გავკრავთ კბილს, ეს ერთიხანია ჯგუფ-  
ჯგუფად გადიან სამუშაოდ. ბალ-ვენახებს ერ-  
თი მთლიანი მესერი შემოავლეს, გაერთიან-  
დნენ... ჩვენც იმათ მივბაძოთ: ყველას გვინდა  
სმა-ჭამა, ერთხმად შევუტოთ, მესერი შევლე-  
წოთ, ბალი მივთელ-მოვთელოთ...

მელიები ჩაფიქრდნენ. სიჩუმე თანხმობის  
ნიშნად მიიღო კუდბუთუთამ, უფრო გამხნევდა,  
წინ გადადგა...

— მომყევით! — დაიძახა მან და მსუბუქი ნა-  
ბიჯით წავიდა სოფლისაკენ. დანარჩენებიც მას  
მიჰყვნენ. ღამეს ეთამაშებოდნენ, კუდებს აგე-  
ლაგებდნენ, მესერს ურბენდნენ გარშემო, მაგ-  
რამ ვერც მესერს შესწვდნენ, ვერც კარები  
მონახეს. მაღიმალ დარაჯს წააწყდებოდნენ  
და სხვა მხარისკენ იბრუნებდნენ პირს, ირბი-  
ნეს, ირბინეს, დაილაღნენ, კვლავ მოგროვდნენ,  
ითათბირეს და ერთხმად დაადგინეს:



— ყველაზე ღონიერი ჩვენს ნაცნობთა შორის დათვია; მოვიწვიოთ, დახმარება ვთხოვოთ ღობეს შეღეწავს, შიგ შევიჭრებით, ბალვენახებს მოვთელავთ, ვინადირებთ და ტყეველს დავუბრუნდებით...

იმავე წუთს შუამავლები გაგზავნეს დათვთან.

— დიდი ხანია ჩამოვშორდი სოფელს! — დინჯად უბასუხა დათვმა, ბალახზე გაგორდა და წვრილი თვალები მიაშტერა კუდბუთუთას ცბიერ სახეს. კუდბუთუთა სულ ახლოს მივიდა, ყურში რალაცა წასჩურჩულა, ტკბილად გაუღიმა, თათლი ინატრა და განზე გადაგა.

— მაგ პირობით... — მორცხვად ჩაიბურღლუნა დათვმა და დინჯი ნაბიჯით გაჰყვა მელიებს. შეებრძოლა ღობეს, მაგრამ წვეტიანმა ხლართებმა მთელი ტანი დაუსისხლიანეს... ებრძოლა, ებრძოლა, იბუზღუნა და ბოლოს უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ეხ, მეგობრებო... — თქვა ნაღვლიანად და განზე გადაგა.

ყურდაცქვეტილმა მელიებმა კუდები დაუშვეს, დათვის გარშემო დაცუცქნენ და ფიქრს მიეცნენ: დახუნძლოლი ბალვენახი ედგათ თვალწინ, ნიავს გამოქონდა საამო სურნელობა ხილისა. ოცნებით რულდაკრულნი მამლის ყვილზე გამოფხიზლდნენ, გაცეცხლდნენ, აიშალნენ.

— შესდექით! — დაიძახა კუდბუთუთამ, წინ შემოუარა. — ერთიც ვცადოთ: ყველაზე მარდი ჩვენს ნაცნობებს შორის მგელია, ღობეს თავზე მოევლება; კაცები გავგზავნოთ, დახმარება ვსთხოვოთ. მელიებს კვლავ იმედი მიეცათ, შუამავლები შეარჩიეს და გავგზავნეს. მგლები დათანხმდნენ, ყველაზე მამაცი, გამოცდილი მგელი — თეთრკბილა მოიხმეს, მეთაურობა დაავალეს, მარჯვენა ხელად მეორე მგელი-თვალცეცხლა გააყოლეს და საკბილოს დაელოდნენ.

მესერის გარშემო მსხდომი მელიები სიცილით შემოიგებნენ მგლებს, შუა ადგილი და-

უთმეს, თავდახრილნი დადგნენ მათ გარშემო. თვალცეცხლამ მესერს ახედ-დახედა, თეთრკბილა გვერდზე ამოუღდა.

— მეგობარო თეთრკბილა, თქვა მან და მამაცად გაუსწორა მზერა.


— ბევრი დაბრკოლება გადამილახავს, ჩემი მუხლები მდინარესავით დაუღალავია, ფეხები მარდია მთის ნიავივით, კბილები ბასრია ქვასავით, თვალები მზის შუქზე უფრო სწრაფია... მე გადავალ ამ მესერზე, ბალში მყოფთ შევათვალიერებ: მელიები ეშმაკები არიან, იქ აუცილებლად ბევრი საკბილო იქნება, შენ ხმას მოგცემ, იმავე წუთს ჩემთან გაჩნდები, მოვინადიროთ და შემდეგ კარს გავუღებ ამ საცლადვეს, — სიცილით გადახედა თეთრკბილამ მელიებს, შემდეგ თვალცეცხლას დააკვირდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მკაცრი მზერა გააყოლა თვალცეცხლას ელვისებურ ნახტომს...

თვალცეცხლა სწრაფად მოევლო მესერს თავზე, შესკუბდა, დაიგმინა და ბურთივით დაეცა მელიების წინ. გაოცებული მხეცები მისცვივდნენ. დათვმა დინჯად ჩაიციხა: თვალცეცხლას სისხლიან მუცელს მოჰკრა თვალი და ტოტზე შედგა. თვალცეცხლამ მელიები ღრენით ჩამოიშორა და თეთრკბილას მიმართა:

— მომეხმარე, მეგობარო, ხომ ხედავ, რა ღლეში ვარ!

თეთრკბილა სისხლს დაეთრო, მშიერი თვალებით უყურებდა, — მეგობრის სისხლის სუნმა გააცოფდა, დაიწქნავლა, კბილებით ეცა თვალცეცხლას, დანარჩენებიც მოეხმარნენ და კბილები ააღმასეს...

შემკრთალი მელიები გაიფანტნენ, თეთრკბილა უღარდელად გაჰყვა გზას, დათვმა ტყეს მიაშურა და მიჩუმდა ყველაფერი. როდესაც მიდამომ ღამის სამოსელი მოიხსნა, სისხლის კვალი ოდნავდა ემჩნეოდა მესერის კალთას. მებალემ უყურა, უყურა და ცივად გაიციხა.







# თეარ - ფაშას შაჰოსავა

კვირადლით მშვენიერი დარი დადგა. მზემ თავისი ცხოველმყოფელი სხივებით ვააბრწყინა ყველაფერი. ცაზე ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა. დილა წყნარი იყო, მშვიდი და სასიამოვნო.

ჩვენ, ცხრა ამხანაგი, ერთი რგოლის პიონერები, ერთად შევიკრიბეთ. გადაწყვეტილი გვქონდა ამ თავისუფალ დროს გაგვესიერნა ქალაქის ბაღში. რადგან ამინდიც მეტისმეტად კარგი იყო, აღარ დავაყოვნეთ და პირდაპირ ბაღისაკენ გავსიეთ.

სულ მალე გაჩნდით იქ. ხეებს ჯერ ფოთლები არ ესხა. უზარმაზარი ჭანდრები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც შუაგულ ზამთარში. მხოლოდ რცხილებს წამოებოდათ კვირტები. ქვედა ტოტების კვირტები უკვე გამსკდარიყვნენ და ახლად დასაბადებულ ფოთლებს მორცხვად გამოეყოთ წვერები. ბალახი კი არ შეშინებოდა ზამთარს და აღრიანად აბიბინებულყო.

ჩვენც ხშირად უფრო ძირს ვიცქირებოდით. მიეჩერებოდით მწვანე ბალახს, ნელნელა დავსიერნობდით ამ ვეებერთელა ბაღში. ერთ ადგილას, მიწის პირას, რაღაც ძველისძველი ნანგრევები შევნიშნეთ. დავინტერესდით. დავიწყეთ ქვოტკირის დანგრეული საძირკვლის თვალიერება, მაგრამ ვერა გავიგეთ რა.

— აი, იქაც ნანგრევებია, ხომ ხედავთ? — დიწყო ზოია შენგელიამ, — ჩვენ კი აქვე ვცხოვრობთ, ქალაქში, და დღემდე არ ვიცით ამის შესახებ არაფერი.

— მოდით, ბავშვებო, ხვალვე წავიდეთ აი იქ, — თქვა ნათელა ძაძამიძემ და ხელი გაიშვირა მუხეუმისაკენ.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ გადავწყვიტეთ

მოვიქცეთ ისე, როგორც ნათელამ გვითხრა. დავტოვეთ ბაღი და შინისაკენ გავეშურეთ.

ჩვენი გაკვეთილები ნაშუადღევს იწყება. ამიტომ დილით მუხეუმს ვესტუმრეთ. იქ განვუცხადეთ ჩვენი მისვლის მიზანი. სიხარულით შეგვიძღვნენ დარბაზში მუხეუმის თანამშრომლები, ჯერ სხვადასხვა მდიდარი მასალა დავგავთვლიერებინეს და მერე აგვისხნეს ყველაფერი. აი რა პასუხი გავცეს ჩვენს მიერ წამოჭრილ საინტერესო კითხვაზე:

წინათ, 1855 წელს, თურქების ჯარმა ომერ-ფაშას მეთაურობით გადმოლახა საზღვარი და ზუგდიდისაკენ გამოეშურა. ოცდახუთ ოქტომბერს ომერ-ფაშა მდინარე ენგურს მოადგა. შემოდგომით, როგორც მოგეხსენებათ, მდინარეში წყალი კლებულობს. გაზაფხულობით ბობოქარი ენგური, ამ დროს უკვე წყნარია და საცოდავი, ალაგ-ალაგ კაცს შეუძლია ფონს გავიდეს.

იმ წელს კი, როცა ფაშა შემოესია სამეგრელოს, გვალვიანი ზაფხული და შემოდგომა იყო. მდინარე ენგური სულ დაბატარავდა. გაჩნდა ფონები. განსაკუთრებით ორ ადგილას, რუხის ძველი ციხის ახლოს და კოკ-კახათთან, ძალიან ადვილი იყო მდინარეში გასვლა ფენით. ომერ-ფაშას გავგო ეს და ჯარი პირდაპირ კოკ-კახათის ფონისაკენ წაეყვანა. მაგრამ მდინარეში გასვლა არც ისე ადვილი იყო, მეორე მხარეს იდგა რუს-ქართველთა ჯარი. ომერ-ფაშამ შეამოწმა მტრის ძალები და როცა დარწმუნდა, რომ მისი ჯარი ათჯერ მეტი იყო, ამასთანავე კარგად შეიარაღებული, ბრძანება გასცა დაეწყოთ მდინარეზე გადასვლა.

მაშინ უკვე ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, რა წამს ამოვიდნენ საფრებიდან თურქი



ჯარისკაცები და ფეხი ჩადგეს მდინარეში, მეორე მხრიდან გაისმა სროლა. ტყვიით განვმირული მოწინავეები დაეცნენ. მდინარე შეიღება პირველი სისხლით. მტერმა პირი იბრუნა. მათ კვლავ მიიღეს მკაცრი ბრძანება — გადაელახათ მდინარე. საშინელი სისხლის ღვრა ატყდა. რუს — ქართველთა ჯარი თავგამოდებით იბრძოდა. კვდებოდნენ ჯარისკაცები, კვდებოდნენ მეთაურები, მაგრამ მათ აღვილს სხეები იჭერდნენ. ცოტახნის შემდეგ სახაზო ბატალიონის კომანდირ პოლკოვნიკ ზვანბაის, ტყვია მარჯვენა ყურში მოხვდა და მარცხენაში გაუარა. უსულოდ დაეცა იგი. მაგრამ მის მაგიერ უფროსად პოლკოვნიკი იოსელიანი დადგა. სულ მალე მასაც ვაუზვრიტა ტყვიამ მკერდი. იოსელიანი არ შეშინდა, თავისი ხელით შეიხვია ჭრილობა და ხელმძღვანელობა განაგრძო. მაგრამ მალე სისხლისაგან დაიკალა და დაეცა. ჯარისკაცებმა ასწიეს გმირი მეთაური და ჭრილობის შესახვევად წაიყვანეს. გზაზე თავში მოხვდა პოლკოვნიკს ტყვია და სიცოცხლეს გამოასალმა.

იოსელიანი მაიორმა ივინმა შეცვალა, მაგრამ ორიოდვე წუთის შემდეგ მაიორ ივინს მტრის ტყვიამ მუხლის თავი დაუმტვრია. გრძობადაკარგული ივინი ბრძოლის ველიდან გაიტანეს.

ჯარი ნადგურდებოდა, ხსნა არსაიდან ჩანდა. მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველად შეუძლებელი იყო. აი ასეთ დროს აიღო მეთაურობა კაპიტანმა კობეღევამ. მან ბრძანება გასცა დაეხიათ უკან. როცა ჯარმა პირი იბრუნა და უკან დახევა იწყო, ამ დროს კოკ-კახათასთან თავისი ჯვრით მოიჭრა გენერალ-მაიორი ივანე მუხრან-ბატონი. გენერალ-მაიორმა ბრძანა ისევ ასტეხეთ ბრძოლაო. ჯარისკაცები ვეფხვებივით ეკვეთნენ მტერს, მაგრამ გვიანდა იყო: თურქებს უკვე ვადმოელახათ ენგური.

ბნელი ღამე დადგა. ჯარმა დაიწყო უკან დახევა. ყოველი მხრიდან ისმოდა დაჭრილების კენესა, გოდება...

დილით ენგურის ნაპირები მკვდრებით იყო სავსე. ბევრ ცხედარს მდინარე მიატივტივებდა დასავლეთისაკენ. მკვდართა შორის დიდი უმრავლესობა თურქები იყვნენ...

ბევრი დაწყდნენ, მაგრამ კვლავ ბევრი დარჩნენ. კალიასავით მოედნენ სოფლებს და რბევა დაიწყეს. ასე რბევა-რბევით შევიდნენ ზუგდიდში.

ხალხს თავზარი დაეცა. ოჯახები ბავშვებით, მოხუცებით, ავადმყოფებით სტოვებდნენ კერას და მთებში იხიზნებოდნენ. მიჰქონდათ, რის წაღებაც შეეძლოთ.

როცა თურქებმა დაიპყრეს სამეგრელო, ბარში თითქმის აღარავინ დარჩა. ომერ-ფაშა ვითომ ძალიან შეწუხებული იყო ამ ამბით. მან ფარისევლურად, მოტყუების მიზნით, წერილი მისწერა სამეგრელოს დედოფალს ეკატერინეს, აღექსანდრე ქავკავაძის ასულს. წერილში ომერი სწერდა:

„ძალიან მეწყინა, როცა დავინახე, რომ ჯარს მეზობელი ქვეყნების მკვიდრნიც გაჰყვნენ, მკვიდრთ რბევა დაუწყეს და აგრძობინეს, თუ რა საშინელებაა ომიანობა. მე მწაღია, რამდენადაც კი შეიძლება, ტანჯვა შეეშუძირო ამ საწყალ ხალხს. ამიტომ მივიღე ზომები და ეს უცხოელნი თავიანთ ქვეყნებში გავგზავნე, ხოლო ჩემი ჯარისკაცები სასტიკად დავსაჯე და დავუშალე მკვიდრთა რბევა-აწიოკება. ერთი ნაწილი მკვიდრთა, რაკი გული დააჯერეს არაფერი დაგვემართებაო, უკვე დაუბრუნდა თავის კერას. მაგრამ, ამ კაცთმოყვარული საქმის დასასრულებლად, ვთხოვ თქვენს უგანათლებულესობას, დაბრუნდეს თავის სასახლეში. განაგრძოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობა, დაამშვიდოს თავისი ქვეშევრდომნი და ჩაავილოს, თუ რა სწაღია ჩემს ხელმწიფეს; აუხსნას ისიც თუ რა აზრით არის აქ მოსული ჯარი: სახელცლობრ, უთხრას ისა, რომ ჯარი აქ რუსებს უნდა ებრძოლოს, აღადგინოს სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსი და დაუბრუნოს ძველებური მართვა-გამგეობა“.

ეკატერინე დედოფალი მაშინ გორდში იყო და ეს წერილიც იქ წაიკითხა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ის უკან არ დაბრუნდა. თავისი პატარა ბავშვები ლეჩხუმისაკენ გავგზავნა და ცოტახნის შემდეგ თვითონაც ბავშვებთან წავიდა.

ომერ-ფაშამ ზუგდიდში ისკანდერ-ფაშა დატოვა და თავისი ჯარით იმერეთისაკენ გაემართა. ისკანდერმა მთავრის სასახლე ყაზარმად აქცია.

ჯარისკაცები და მათი გამყოლი ვიგინდარები დადიოდნენ სოფლებში და აწიოკებდნენ ხალხს, იჭერდნენ ქალებს და ბავშვებს და გასაყიდად აგზავნიდნენ. ასეთი რბევა-აწიოკება



7956



ომერმა აკრძალა, დამნაშავეებს ან ხვრეტდნენ, ან ტომარში ჩააგდებდნენ და ასე ტომრიანად ყრიდნენ წყალში. მაგრამ ამან ვერ შეამცირა ბოროტმოქმედება, ისევ და ისევ გრძელდებოდა ქალებისა და ბავშვების გატაცება, აწიოკება...

ამასობაში ქართველებმა და რუსებმა მოიკრიბეს ძალა. დიდძალი ჯარი დაიძრა სამეგრელოსაკენ.

ეს რომ გაიგო ომერ-ფაშამ, თავი დაანება იმერეთს და უკან დაიწყო დახევა. მან ისკანდერსაც შეუთვალა დაეტოვებინა ზუგდიდი.

ამ დროს საშინელი ამინდი იდგა. დღედაღამე წვიმდა კოკისპირულად. მდინარეებსა და ღელეებს ყველაფერი მიჰქონდა, გზები გაპარტახებული იყო. აი ასეთ ავდარში მოუხდა უკანდახევა ომერ-ფაშას. მისი ჯარისკაცები და საჭურველი ტალახში იფლობოდნენ, ჯარისკაცები რის ვაივავლახით ამოდიოდნენ ტალახიდან, ხოლო საჭურველი ლაფში რჩებოდა. სოფელ ონტოფოში ერთი ქვემეხი ჩაეფლო მიწაში. რა თქმა უნდა, მაშინ ვერ შესძლეს მისი ამოღება. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ამოათრიეს სოფლელებმა დიდი წვალებით.

ომერ-ფაშას ბრძანებისთანავე ზუგდიდში დაბანაკებულმა ჯარმა დაიწყო უკან დახევა, ამ დროს თურქების გარნიზონს თავს დაესხა ქართველთა მილიცია და დიდძალი ჯარისკაცი დაატყვევა.

გაბრაზდა ისკანდერ-ფაშა, ბრძანა: მოეტანათ სოფლებიდან ჩალა და დაეწყოთ მთავრის სასახლესთან. მერე რაც ძვირფასი ნივთი იყო, გამოატანინა სასახლიდან.

— შეყარეთ ოთახებში ჩალა და ცეცხლი წაუქიდეთ! — მრისხანედ მიმართა თავის ჯარისკაცებს ისკანდერ-ფაშამ.

ბრძანებაც უმალ შეასრულეს. ერთდროულად რამდენიმე ალაგას გაჩნდა ცეცხლი. ალები ცისაკენ აღიმართნენ. იწვოდა მთავრის სასახლე, იწვოდა ქალაქის სხვა კარგი სახლებიც.

დაიწვა სახლები, ხოლო ქვიტკირის საძირკვლები დაუწველი დარჩება.

მაგრამ მარტო ეს არ იკმარა ისკანდერ-ფაშამ. ის მშვენიერი ბალი, რომელიც თითქმის ახლანდელი ბალის ადგილზე იყო, სულ გააჩეხვინა მტარვალმა. აჭრეს ძვირფასი ლამაზი ხეები, მთლიანად გააპარტახეს იქაურობა.

ამის შემდეგ ისკანდერ-ფაშამ გაიყვანა ჯარი ზუგდიდიდან და რის ვაივავლახით შეუერთდა ომერ-ფაშას. იანერის დამლევეს სამეგრელოს მეტი ნაწილი უკვე გაიწმინდა თურქებისაგან. მხოლოდ ხანდახან თუ მოხდებოდა მცირე შეტაკება.

უკანასკნელი შეტაკება მოხდა ხორგასა და ყულევს შუა მდინარე ხობისწყალზე. ამ უკანასკნელი ბრძოლის დროს საშინლად დამარცხდნენ თურქები. მათ პირი იბრუნეს და დატოვეს სამეგრელო.

აი რადროინდელი ყოფილა ის ნანგრევები. მას შემდეგ ოთხმოცდახუთ წელს გაუფლია. ბალიც მერე გაუშენებიათ, მერე გაზრდილა ეს ქანდრები და ეს ხეები ასე უზარმაზარი.

ჩვენ, რგოლის პიონერებს, ძალიან მოგვეწონა ჩვენი ნაბიჯი. აქვე გადავწყვიტეთ შევისწავლოთ ჩვენი კუთხის ისტორია.

— მოდი, ბავშვებო, შემდეგ მეცადინობაზე დაწვრილებით გავეცნოთ სამეგრელოს გლეხთა აჯანყებებს უტუ მიქავას მეთაურობით, — წამოიძახა ლალი ჯანაშია.

— ო, ეს ძალიან კარგი იქნება, — თქვა მუხეუმის თანამშრომელმა, — თურქების განდევნის შემდეგ დაიწყო სწორედ გლეხთა აჯანყება, რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა.


დიდად კმაყოფილი გამოვედით პიონერები მუხეუმიდან.

ზუგდიდის მე-2 სრული საშუალო სკოლის მე 6 რაზმის მე-2 რგოლის პიონერები:

ნათელა ძაძაშიძე, ბაბუცა ქუჩულორია, ბუცა ჩიქოვანი, ლალი ჯანაშია, თინა ქარდავა, ნორა ხობელია, ირა ელიგაროვი, ნორა ფიფია, ზოია შენგელია.







ერთი მწყემსი ჯოგს აძოვებდა. მისი ბინა კარგა შორს იყო საძოვრებიდან. მასთან სადილი მიჰქონდა ხან ცოლსა და ხან პატარა ქალიშვილს.

ერთ დღეს მწყემსს დაუგვიანეს სადილის მიტანა; ის შეწუხდა არა მარტო შიმშილით, არამედ ოჯახის დარდიც აწუხებდა: რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვებოდა. ნაშუადღევ იყო, დაღამებას კარგახანი აკლდა. მწყემსმა გაიხედა და დაინახა, გლეხი თივას ჭირდა. მივიდა მასთან და სთხოვა: — შენი ჭირიმი, ცოტახნით ჩემს ჯოგზე თვალყური დაიჭირეო.

გლეხი ყრუ იყო, მას ეგონა მწყემსი ბალახს მთხოვსო და ხელი აუქნია.

მწყემსიც ყრუ იყო. როდესაც გლეხმა ხელი აუქნია და უთხრა — წადი, მომშორდიო, ეგონა თუ უთხრა: ნუ გეშინია, მე ვუგდებ ყურს შენს ჯოგსაო. კმაყოფილი მწყემსი შინ წავიდა.

მწყემსი საჩქაროდ უკანვე დაუბრუნდა თავის ჯოგს.

დაითვალა ცხვარი, არ აკლია; გაეხარდა და თქვა: დიდი მადლობის ღირსია ის გლეხი, რომ კარგად მიუხედავს ჩემი ჯოგისათვისო, აიყვანა ერთი პატარა მსუქანი ფენმოტეხილი კრავი და უთავაზა გლეხს.

გლეხს ეგონა, მე მაბრალებს ამ კრავის ფეხის მოტეხასო, და მოჰყვა ფიცსა და მტკიცებას, მე ხელიც არ მიხლია ამ კრავისათვისო. მწყემსს ეგონა: რადგანაც კრავი ფენმოტეხილია, მიწუნებსო, და უთხრა: — მართალია, ძმაო, ეს კრავი ფენმოტეხილია, მაგრამ სამაგიეროდ მსუქანიაო. გლეხი ეფიცება: კრავს არ მივკარებ ბივარ და არც ფეხი მომიტეხია, რას ჩამაცივდიო; გაბრაზდა გლეხი და მწყემსს შემოჰ-

კრა. მწყემსმაც მუშტებით გასცა პასუხი. როდესაც მათ ერთმანეთი კარგად მიბეგვეს, ვილაც ცხენოსანი დაინახეს. ორივემ მასთან მიიბრინა. გააჩერეს ცხენოსანი და სთხოვეს გაერჩია მათი საქმე. გლეხმა უთხრა:

— ეს მწყემსი მე ბრალს მდებს კრავის ფეხის მოტეხაში, გეფიცებით, რომ კრავს არ მივკარებ ბივარ სიახლოვეს, დამანებოს თავი, ნუ მცემსო.


მწყემსი ეუბნება:

— ეს ფენმოტეხილი კრავი საჩუქრად შევთავაზე, რადგანაც ჩემს ჯოგს თვალყური ადევნა ცოტა ხნით; კრავი, მართალია, ფენმოტეხილია, მაგრამ სამაგიეროდ მსუქანია, ეს კი მადლობის მაგიერად მცემს, გთხოვთ გაარჩიოთ ჩვენი საქმეო.

ცხენოსანიც ყრუ ყოფილიყო, ეს ცხენი გზაზე ეპოვა, შემჯდარიყო ზედ და წამოეყვანა; მას ეგონა, ცხენის ქურდობას მდებენ ბრალდაო და მოჰყვა ფიცს, რომ არ მოუპარავს, არამედ გზაზე ნახა, უპატრონო იყო, შეჯდა და წამოიყვანა.

გლეხი და მწყემსი ცხენის აღვირს ხელს არ უშვებენ, სთხოვენ ცხენოსანს — გაარჩიე ჩვენი საქმეო. როდესაც დაინახა, რომ არ ეშვებიან, ცხენოსანი ჩამოხტა ცხენიდან და გაიქცა, თავს უშველეს, ცხენი კი იქვე მიატოვა. გლეხსა და მწყემსს ეგონათ, ნამდვილად ჩვენს დასაჭერად წავიდა, ვინმეს მოიშველიებსო, და იმათაც თავს უშველეს: მწყემსმა თავისი ჯოგი სხვა მიწოდორში წაიყვანა მოშორებით, გლეხიც შინ გაიპარა. შეშინებული, დამიჭერენ ჩხუბისათვისო. ცხენმა კი ტიხვინით თავის პატრონს მიაშურა.

ამით დამთავრდა სამი ყრუს ამბავი.





# ბრძოლა გავგამელთან

ეს იყო დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ. დიდი სარდალი ალექსანდრე მაკედონელი თავისი ჯარით შეიჭრა სპარსეთში.

სპარსეთის მეფემ დარისმა შეკრიბა უდიდესი არმია და გამოვიდა მაკედონელის შესახვედრად. შეხვედრა მოხდა სოფელ ვავგამელთან.

განიერ ველზე საბრძოლო მწყობრში იდგნენ სპარსელები; იქ იყო ცხენოსანი და ქვეითი ჯარი. იმდროინდელი საომარი ტექნიკის მიხედვით სპარსელების ჯარი კარგად იყო შეიარაღებული. მეფე დარისი, გარდა ამისა, განსაკუთრებულად ამაყობდა თავისი სპილოებით, რომლებიც ჩამოყვანილი ჰყავდა ინდოეთიდან.

თხუთმეტი უზარმაზარი მეომარი სპილო იდგა სპარსელების ჯარის წინ შუაში.

ისინი გამოწვრთნილები იყვნენ და იცოდნენ, როგორ დაემსხვრიათ და ჰაერში შეესროლათ მოწინააღმდეგის ხერძოლები, თავიანთ ხორთუმებს შემოაზვევდნენ ადამიანს კისერსა და მკერდზე, ახრჩობდნენ, შემდეგ ანარცხებდნენ მიწაზე და თელავდნენ თავიანთი ტლანქი, მძიმე ფეხებით.

სპილოს კანი მაგარია, ის თითქმის ყოველგვარ იარაღს უძლებს, სათუთია მხოლოდ მისი თავი, ამიტომაც შეეჭურვათ სპარსელებს სპილოები ისე, რომ მათ მხოლოდ თვალები და უჩანდათ. სპილოებს ხურგზე დადგმული ჰქონდათ კოშკისებური უზარმაზარი უნაგირები, რომლებშიაც იდგნენ შვილდ-ისრებით შეიარაღებული მეომრები. თვითეულ სპილოს კისერზე ეჯდა წინამძღოლი, რომელიც თავში ჩაქუჩის დარტყმით აძლევდა სპილოს მოქმედების გეზს.

თვით მეფე დარისიც სპილოზე იჯდა. აი, მისცა მან ნიშანი და ბრძოლაც დაიწყო...

დაიძრა სპარსელთა ცხენოსანი ჯარი, მაგრამ მაკედონელები არ გაიქცნენ, მათ მოხერხებულად დაუშინეს ისრები და ქვები სპარსელებს. სპარსელების უამრავი ცხენი და მეომრები დაახინა მაკედონელების მოხერხებულად ნასროლმა ქვებმა და ისრებმა.

დამფრთხალი, ფაფარაყრილი ცხენები ჭიხვინებდნენ და აღარ ემორჩილებოდნენ თავიანთ მხედრებს. სპარსელების ცხენოსანმა ჯარმა მარცხი განიცადა. მან ვერ შეძლო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმა და გამოყენება იმ დიდი დანებისა, რომლებითაც იყო შეიარაღებული.

დაინახა რა თავისი ცხენოსანი ჯარის სამარცხვინო დამარცხება, მეფე დარისმა დაძრა თავისი ქვეითი ჯარი და მეომარი სპილოები.

ახლა კი შავი დღე დაადგათ მაკედონელებს. ისინი ებრძოდნენ გააფთრებულ სპილოებს, რაც ძალა ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერს აწყობდნენ. სპილოები კატის კნუტებსავით ანარცხებდნენ მიწაზე ბრძოლის ცეცხლით აგზნებულ მეომრებს, ახრჩობდნენ და ლეწავდნენ მათ. ილუბებოდნენ მაკედონელები, მაგრამ ვაქცევა მანაც არ სცადეს.

ამ დროს თვით სარდალი ალექსანდრე მაკედონელი დაესხა თავს სპარსელების იმ ლაშქარს, რომელიც სპილოებით არ იყო დაცული, და უმაღლესად განადგურა. შემდეგ ზურგიდან დაეცა დარისის ლაშქარს, სადაც იყვნენ ეს „საშიში მეომრები“ — სპილოები.

მხოლოდ მოულოდნელი თავდასხმით და კიდევ იმით, რომ მაკედონელის დიდ ლაშქარს თხუთმეტი სპილო ვერ გაუმკლავდა, ბრძოლა ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებით დამთავრდა.

მაგრამ არც სარდალს და არც მის მეომრებს დიდხანს არ ავიწყლებოდათ საშინელი ბრძოლა სპილოებთან.







# ზ ა ნ კ ი ს ი ს ზ ო რ ი ა

## „ფრთხილად, ცისტერნი“

გრუზუნით მოდის, მუხლუხნოს მავგარი ბორ-  
ბლები აქვს, მაღლა კიდევ პატარა კოშკი,  
ირგვლივ ტყვიამფრქვევები, წინ და უკან მბრუ-  
ნავი ქვემეხები. მარტო შეხედვაც გაგრძობი-  
ნებთ მის ძლიერებას. ეს არის ტანკი, რომე-  
ლიც ბევრს თქვენთავანს უნახავს წითელარმიის  
პარადებსა და მანევრებზე.

ტანკი პირველი იმპერიალისტური ომის პირ-  
მშოა. იგი პირველად გამოვიდა ბრძოლაში  
1916 წლის 15 სექტემბერს, მდინარე სომას-  
თან. მეტად საინტერესოა მისი გამოგონების  
ისტორია.

მუხლოვანი ტრაქტორიდან დაიბადა ტან-  
კის ზეგნის იდეა. ინგლისელმა პოლკოვ-  
ნიკმა სვინტონმა ამერიკიდან ჩამოტანილი ტრა-  
ქტორი „ხოლტი“ ნახა. მან იფიქრა: მოდი  
გავაკეთებ ისეთ მანქანას, რომელიც ადამიანს  
ტყვიისაგან დაიცავს და ამავე დროს მტერ-  
საც ცუდ დღეს დააყენებსო. სვინტონმა წერი-  
ლი გაგზავნა ინგლისის სამხედრო სამინისტ-  
როში და პროექტიც წარადგინა. იგი ამტკი-  
ცებდა, ჩემს მიერ გამოგონილ ჯავშნიან მან-  
ქანას ვერც ტყვია, ვერც მავთულხლართი  
და ვერც სანგარი დააკავებსო.

ერთდროულად, სვინტონისაგან დამოუკიდე-  
ბლად, ასეთი მანქანის გამოგონების იდეა და-  
ებდა ფრანგ პოლკოვნიკ ეტიენს. მანაც მსგა-  
ვისი წინადადებებით მიჰმართა საფრანგეთის  
ჯარების მთავარსარდალს ჟოფრს.

ინგლისში დაიწყეს ახალი საომარი მანქანის  
გაკეთება. გერმანელებს რომ საიდუმლოება  
არ გაეგოთ, ინგლისელებმა უცნაურ ხრიკს  
მიმართეს: მანქანას უწოდეს „ცისტერნი“. ამა-  
ვე დროს ქარხანაში ხმა გაავრცელეს, რომ ეს  
„ცისტერნები“ რუსეთის მთავრობის დაკვეთით  
იგზავნება პეტროგრადში. თვითეულ მანქანას

ინგლისელებმა რუსულად წააწერეს: „ცისტე-  
რნი, ფრთხილად, პეტროგრადი“.



ინგლისელთა ხერხმა გაჭრა. გერმანელებმა  
მხოლოდ მდინარე სომონთან ბრძოლის შემდეგ  
გაიგეს, რომ ეს საეჭვო „ცისტერნი“ მათ წი-  
ნააღმდეგ გამოგონილი ტანკი ყოფილა.

## ს ო მ ა და კ ა მ ბ რ ე

ინგლისის ჯარების მთავარსარდალი ხეივთ  
უარყოფითი შეხედულების იყო ამ ახალი ტიპის  
მანქანაზე. მას იგი უსარგებლო გამოგონებად მი-  
აჩნდა, მაგრამ ნათქვამია: წყალწოდებული ხავსს  
ეჭიდებო, და ხეივთ ასე მოიქცა. როცა ხან-  
გრძლივმა ბრძოლამ სომასთან პირველად სა-  
სურველი შედეგი ვერ მისცა მოკავშირე სახელ-  
მწიფოთა ჯარებს (ინგლისი, საფრანგეთი,  
იტალია და სხვა.), გენერალმა ხეივთ გადა-  
წყვიტა ბრძოლაში გაეშვა ტანკები.

ბნელი ღამე იყო. ინგლისელთა 49 ტანკი  
გერმანელთა პოზიციებისაკენ დაიძრა. დანი-  
შნულ ადგილას მხოლოდ 32 მანქანამ მიაღწია,  
დანარჩენები გზაზე გაფუჭდა.

დიდ სიძნელეს წარმოადგენდა სიბნელეში  
სვლა. ალაგ-ალაგ ხშირად ხვდებოდათ ყუმბა-  
რებისაგან ამოთხრილი ვეებერთელა ორმოები.  
ტანკისტებმა მოტორები გამორთეს და გათე-



მოცურავე ტანკი „ამფიბია“, ტანკი, რომელმაც  
„კახოვკასთან“, ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.



წებას დაუცადეს. დილით კი ისევ გაუღდნენ გზას მიზნისაკენ.

აი, გამოჩნდა გერმანელთა სანგრებიც. ატყდა საშინელი სროლა. გერმანელები ესროდნენ თოფებს, ტყვიამფრქვევებს, მაგრამ ტანკებს მაინც ვერაფერი ვერ აჩერებდა. ისინი სროლით მიიზღაზნებოდნენ სულ წინ და წინ. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, მავთულხლართები მაინც დააკავენ ამ უცნაურ მანქანებსო, მაგრამ ამაოდ. ტანკები არღვედნენ მავთულხლართებს და უშიშრად განაგრძობდნენ წინსვლას.


მოულოდნელი აღმოჩნდა ტანკების იერიში. მრავალმა გერმანელმა ჯარისკაცმა დატოვა სანგარი და სირბილით გაეშურა უკან. გერმანელი გენერლებიც გაკვირვებული იყვნენ ამ ამბით.

— მოდის რაღაც საშინელი, ცეცხლს აჩენს, ყველაფერს სპობს, ვერც ხე უმაგრდება, ვერც ორმო; ტყვიას ვესვრით, მაგრამ მაინც არ ჩერდება, — ამბობდნენ გამოკეცილი ჯარისკაცები.

— რა უნდა იყოს ასეთი, რომ ვერ შევაჩეროთ. ალბათ, მოგეჩვენათ, თქვენ დეზერტირები ხართ და უნდა დაგხვრიტოთ, — შეაკრად უპასუხებდა გენერალი ჯარისკაცებს და ბრძანებას აძლევდა, რომ ყველა ასეთი „დეზერტირი“ იქვე დაეხვრიტათ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტანკების პირველმა იერიშმა. ინგლისელები და ფრანგები დარწმუნდნენ ამ ახალი მანქანის სიძლიერეში და ჩქარი ტემპით დაიწყეს მისი მშენებლობა.

ტანკებმა შემდეგ ბრძოლებშიც მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ეს არ იყო მნიშვნელოვანი. ტანკების მძლავრი იერიში ქალაქ კამბრეს ახლოს მოხდა. ხანგრძლივი მომზადების შემდეგ, 1917 წლის 20 ნოემბერს, მზის ამოსვლამდის დაიძრა 476 მანქანა. გერმანელები არ ელოდნენ ამდენი ტანკის ერთად გამოცხადებას. ათასობით ქვემეხი უშენდა გერმანელთა პოზიციებს. უმთავრესად ისროდნენ კვამლის გამჩენ ყუმბარებს. როცა ირგვლივ ყველაფერი კვამლმა მოიცვა, გრუხუნით გაემართნენ ინგლისელთა ტანკები. ისინი გერმანელთა პოზი-




ციებში შეიჭრნენ. ეს იყო ახალი საომარი მანქანების მოულოდნელი თავდასხმა. მრავალრიცხოვანი ტანკების იერიშით შეშინებული გერმანელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. მათ ღია დასტოვეს ფრონტი 13 კილომეტრის სიგრძით და 10 კილომეტრის სიღრმით. ასეთი წარმატება ჰქონდა ტანკების 10—საათიან ბრძოლას ქალაქ კამბრეს მახლობლად.

### ტ ა ნ კ ე ბ ი ა ხ ლ ა

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ დიდად გაუმჯობესდა ტანკების კონსტრუქცია. ყველა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყანაში დაიწყეს ახალახალი ტიპის ტანკების გამოგონება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეის მის სისწრაფეს, სიმძლავრეს, შეიარაღებას. პირვანდელი ტანკები ახლა სასაცილონი არიან ეხლანდელთან შედარებით. თუ წინათ ტანკი საათში რაღაც ათიოდე კილომეტრს გადიოდა, ახლა 80-მდის კილომეტრს გარბის. ახალი სისტემის ტანკი 80 სანტიმეტრის სისქის ხესაც აქცევს; მას ვერც სქელკედლიანი შენობა უმაგრდება, ვერც რკინა-ბეტონის მძლავრი ნაგებობა.

თუ წინათ ასობით ტანკი გამოდიოდა ბრძოლაში, ახლანდელ ომში ერთდროულად გამოდის 2000 ტანკი. 1940 წლის მაისში მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ შეტევაში სედანთან გერმანელებმა 2000 ტანკი გამოიყვანეს. ცნობილია, რომ გერმანიის ჯავშან-სატანკო





ნაწილებმა უდიდესი როლი ითამაშეს საფრანგეთის არმიის დამარცხებაში. გერმანელებს 3-4 ჯერ მეტი ტანკი გამოყავდათ ბრძოლაში, ვინემ ფრანგებსა და ინგლისელებს. მსგავსი მდგომარეობა განმეორდა იუგოსლავიასა და საბერძნეთშიც.

### ს ა ბ ჭ ო თ ა ტ ა ნ კ ე ბ ი

ჩვენი მშობლიური წითელი არმია სამხედრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის შეიარაღებული. ჩვენ გვახსოვს დიდი ბელადის გაფრთხილება. მუდამ მზად ვიყოთ საბრძოლველად, გამანადგურებელი პასუხი გავცეთ მტერს, თუ იგი შეეცდება თავისი ღორული დინგის შემოყოფას ჩვენს საბჭოთა აყვავებულ ბოსტანში.

ამიტომაც ტანკებს, დანარჩენ საომარ საშუალებებთან ერთად, ფრიად საპატიო ადგილი უკავია ჩვენი ღვიძლი წითელი არმიის შეიარაღებაში. საბჭოთა ტანკისტებმა ლეგენდარული გამბრობით ასახელეს ჩვენი სამშობლო. მა-

რად დაუფიწყარია ბრძოლები ხასანის ტბასთან, ხალხინ-გოლთან, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში.

ყველგან, სადაც მტერთან შეტაკება მოგვიხდა, ჩვენი ტანკისტები ზღაპრულ მამაცობას იჩენდნენ. ისინი უშიშრად იჭრებოდნენ მტრის პოზიციებში და სასტიკად ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. საბჭოთა ტანკისტების ძლიერად მოსილება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა თეთრფინელებთან ბრძოლაში. მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული პრესა გაჰკიოდა, „მანერჰაიმის ხაზის“ გარღვევა შეუძლებელიაო, რომ

საბჭოთა ტანკები უძლური აღმოჩნდებოდა რკინაბეტონის ნაგებობებთან შეტაკებაშიო. სინამდვილემ კი პირიქით გვიჩვენა. ჩვენი ტანკების წინაშე ჭეშმარიტად სუსტი და უზადრუკი აღმოჩნდა, „მანერჰაიმის ხაზი“, რომელსაც წლობით აშენებდნენ იმპერიალისტური ქვეყნების მოწინავე ინჟინრები. ამ ბრძოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა დიდი ბელადის ბრძნული სიტყვების სიმართლე: რომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ.

უძლიერეს ძალას წარმოადგენენ საბჭოთა ტანკები. თუ ჩვენს სამშობლოს გარედან რაიმე საფრთხე დაემუქრება, ისინი მძლავრი გუგუნით დაიძვრიან მტრის შესამუსრად. საბჭოთა ხალხი ზრდის მამაც მებრძოლებს, სახელოვან გმირებს. ხალხს უყვარს თავისი დამცველი არმია, უყვარს ფოლადის ჯავშანი, რომელსაც მხნედ მართავენ ჩვენი გულადი ტანკისტები. ამიტომაც მღერიან სიმღერას „სამი ტანკისტი, სამი მხიარული მეგობარი“.

3. ჟუჩული.







# ვაზის ხე

ვაზფხულის პირველ რიცხვებში დესიურჟი სოფელში გაემგზავრა, სადაც სახლი ჰქონდა, და თან წაიყვანა თავისი პატარა ვაჟი ჟულიანი. ია და ფურისულა უკვე გაშლილიყო, ბევრი ხეხილი აყვავებულიყო. ლამაზი სანახავი იყო თეთრი და ვარდისფერი ყვავილები, ხასხასა მწვანე ფოთლები.

დესიურჟმა და ჟულიანმა ჩაუარეს ვაზის ფანჩატურს, რომლის ბოლოში მოჩანდა გამხმარი, მოხრილი ვაზის ხე. იგი ნაღვლიანად გამოიყურებოდა თავისი გატიტვლებული ტოტებით.

— მამა! — წამოიძახა ჟულიანი, — ერთი შეხედვით ამ საზიზღარ ხეს, სულ გამხმარია. რატომ არ ამოგლეჯენ, რომ მატურენის ბუხარში შეუძახონ?!

ჟულიანი მივიდა და უნდოდა მოეთხარა ეს უშნო ვაზის ხე, მაგრამ ვერაფერი დააკლო: მას ღრმად გაედგა მიწაში ფესვები.

— თავი დაანებე, ნუ ეჯავჯუტურები, — თუხრა შვილს დესიურჟმა, — თავის ადგილას დარჩეს.

— არა, მამა, არა, — მიუგო ჟულიანმა, — აი რა მშვენიერი ყვავილებით არის მორთული ნუში და ატამი, ესეც რატომ არ არის ისეთი, რატომ აუშნოებს, აფუჭებს მთელ ბაღს?! წავალ, მატურენს დაეუძახებ და ის ამოგლეჯს!

— თავი დაანებე, შვილო, ხომ გითხარი, მე მინდა ეგ თავის ადგილას დარჩეს კიდევ რამდენიმე ხანს მაინც.

ვინაიდან ჟულიანი არ ისვენებდა, ძალიან უნდოდა მოესპო გამხმარი ხე, მამამ სხვა რაღაცაზე დაუწყო ლაპარაკი და ბავშვს მალე მიაღიწყდა ვაზის ხე.

დესიურჟს მეორე დღესვე მოუხდა ქალაქში დაბრუნება: საქმეების გამო გამოიძახეს. ჟულიანიც თან წაიყვანა და შემოდგომამდე ველარ მოახერხა სოფელში ასვლა.

აი უკვე სოფელში არიან მამა-შვილი. ცხელა. ვაზის ფანჩატური საამოდ გაშლილა. მის ჩრდილს შეაფარეს თავი.

— ოჰ, მამა, — თქვა ჟულიანმა, — რა მშვენიერი მწვანეა! რა მიხარია, რომ ამოგითხრე ვინებია ის საზიზღარი გამხმარი ხე, ამ ვაზფხულზე რომ ვნახე, და ეს მშვენიერი ხეხილი დაგირგვევინებია! მამიკო, გინდოდა გაგეხარებინე, არა? რა მშვენიერად ხილია! ნახე, რა ლამაზი მტევნებია! მთელ ბაღში არ მოიპოება ასეთი შესანიშნავი ხეხილი, სხვა ხეხილი უკვე მოღეულია, ეს კი შესანიშნავი ყურძნით არის დატვირთული. აი, დახედე ამ მწვანე ფოთლებს, როგორ ჩამალულა შიგ მტევნები! ნეტავი ისეთი გემრიელია, როგორც მეჩვენება?

— აჰა, შვილო, შექამე, — მოუწყვიტა მამამ ერთი მტევანი. — ეს მუსკატია, აქედან კეთდება ის ლიკიორი, რომელიც ამასწინათ გასინჯე. ჟულიანის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— ხედავ, შვილო, რა ვაკვირვებული ხარ, მაგრამ უფრო გაიოცებ, როცა გაიგებ, რომ ეს შესანიშნავი ხეხილი სწორედ ის უშნო, გამხმარი ვაზის ხეა, შენ რომ ამოთხრა დაუპირე ვაზფხულზე. თუ გინდა, ახლა დაუძახე მატურენს, ამოვათხრე ვინოთ.

— რას ამბობ, მამა! — წამოიძახა გაოცებულმა ბავშვმა — ის გამხმარი ხეა? თუნდაც ყველა ხე დათხარონ, ამას კი არავენ ახლოს ხელი! ოჰ, რა კარგია მუსკატი!

— ახლა ხომ ხედავ, ჟულიან, რა კარგად მოვიქეცი, რომ შენი თხოვნა არ შევასრულერაც შენ დაგემართა, ასე ხშირად ხდება ცხოვრებაში. არიან ცუდად ჩაცმული უშნო ბავშვები, რომლებსაც სხვა ბავშვები არ იკარებენ, ეამპარტავენებთან, თავის დამცირებელ მიაჩნიათ მათთან ლაპარაკიც. ფრთხილად იყავი, შვილო, აჩქარებით არასდროს არ უნდა ვადაწყვიტო რაიმე. ზოგიერთს შეხედავ— ულამაზოა, მაგრამ თურმე კარგი ბუნება ჰქონია და იქნება ერთხელ კიდევ ვაკვირვოს ქვეყანა თავისი დიდი, სასარგებლო საქმეებით, როგორც აი ამ ხემ, რომელიც ტლანქი და უშნოა, მაგრამ საუკეთესო ყურძენს კი ისხამს.

ფრანგულიდან თარგმნილი ანასტასია ჯაიანის მიერ.



# მეზვიდმეტი

განმარტოებით იდგა ჟანდარმთა პოლკოვნიკის ვოლტერის სახლი ვაკეში. აბა, ვინ გაბედავდა შენობის დადგმას მის სიახლოვეს?

ცოლი და ერთი შვილი ჰყავდა პოლკოვნიკს, მაგრამ ამათ გარდა მის სახლში ხუთი მოსამსახურე ცხოვრობდა. ასე გაგრძელდა 1921 წლის თებერვლამდე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე, პოლკოვნიკ ვოლტერს ხელი ააღებინეს ამ სახლზე და ერთ პატარა ოთახში მიუჩინეს ბინა.

რამდენიმე წელს საბავშვო ბაღად გამოიყენა ეს შენობა ქალაქმა.

მერცხლებივით აჭიკჭიკებული და ყაყაროსავით გადაშლილი ბავშვების სიცოცხლისთვის, მზიარულება და ცეკვა-თამაში საწამლადად ხედებოდა ჩამომჭენარ ვოლტერის გულს.

1924 წლის დეკემბრიდან ახლადდაარსებულ საზოგადოება „ბავშვთა მეგობარმა“ ამ სახლში საბავშვო სახლი გახსნა უპატრონო ბავშვებისათვის. ზინაიდა ორჯონიკიძის ინიციატივით მოხდა ეს.

მეჩვიდმეტე წელია, რაც ეს საბავშვო სახლი არსებობს და, უდაოდ, მას მდიდარი, ზინაარსიანი ისტორია აქვს.

სახლი თავიდანვე ინტერნაციონალური იყო და დღესაც ასეთია.


მშობლიური აღზრდა-პატრონობა და გულთბილი მზრუნველობა გაუწია ვაკის საბავშვო სახლმა რვაასამდე აღსაზრდელს და თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო ამან.

ვაკის საბავშვო სახლში აღზრდილი ექიმების, მასწავლებლების, ინჟინრების, სტახანოველების რიცხვი თითებზე არ ჩამოითვლება, მათი რაოდენობა დიდია.

საბავშვო სახლში აღსაზრდელად ყოფნის დროს აქვეყნებდა ელიკო ნადოლსკაია ლექსებს ჟურნალ-გაზეთებში.

მას ათი კლასის დამთავრებისა და უმაღლესში მოწყობის შემდეგაც არ აუღია ხელი ლექსების წერაზე. მისი ახალი ლექსების გამოჩენას საბავშვო სახლში დღესაც უჩვეულო ზეიმი და მზიარულება შემოაქვს.

— სულ რამდენიმე თვე დამრჩა, მალე სრულუფლებიანი ექიმი ვიქნები და, თუ გნებავთ,



თქვენთან ვიმუშავებ, — გვეუბნება ჩვენი ყოფილი აღსაზრდელი არტენიკ სარქისიანი.

ვაკის საბავშვო სახლში აღზრდილ მარგო ასატურიანის მასწავლებლად დანიშვნას ბავშვების საყვარელმა პოეტმა შიო მღვიმელმა ლექსიც კი უძღვნა. „თუ ოდესმე, დაფლეთილი, იყო ეზო-ქუჩის მხლებლად, დღეს ზეიმობს ის: ამაყად სოფელშია მასწავლებლად“.

ლეო აბულაძე, მებრძოლ წითელარმიელთა რიგების დამამშვენებელი, ვაკის საბავშვო სახლმა აღზარდა.

— ვანო სუხორუკოვი მოვიდა, ვანო მოვიდა! — ხშირად გაისმის ვაკის საბავშვო სახლში და კოხტად მორთულ არტილერიის ნაწილის მეთაურს გარს შემოეხვევიან ჟრიამულად გადაქცეული აღსაზრდელები.

ვანო სუხორუკოვი სათითაოდ ეკითხება ბავშვებს. როგორია მათი აკადემიური მოსწრება, ყოფაქცევა, კოლექტიური ცხოვრება საბავშვო სახლში.

ასე ზინაარსიანად და ბედნიერად მიდის ცხოვრება ვაკის საბავშვო სახლში ამ ჩვიდმეტი წლის მანძილზე.



# კაატა სააკაძე



მასწავლებელმა თვალი მოავლო მწვანე მიწის ნივთებზე მჯდარ სახეატკეცილ ბავშვებს, რომელნიც მას მისჩერებოდნენ, და წყნარად დაიწყო საქართველოს წარსულიდან საინტერესო ეპიზოდის თხრობა.

— ეს მინდორი მრავალჯერ წარმოადგენდა ომის ასპარეზს, მრავალი ცხარე ბრძოლა უნახავს ამ მიწას და სამშობლოსათვის თავდადებული მრავალი გმირის საამაყო სახელი შეუნახავს სამარადისოდ. აქ უბრძოლია სამშობლოს მტრების წინააღმდეგ განთქმულ ქართველ გმირს, გიორგი სააკაძეს, რომელმაც მრავალჯერ იხსნა საქართველო აოხრებისაგან, მაგრამ ეს ამავი არ დაუფასეს შურიანმა ფეოდალებმა, თავდა-აზნაურობამ. ისინი ვერ ითმენდნენ, რომ უბრალო გლეხის, შიომთავრის შვილი, გიორგი, ისეთი მეომარი გამოვიდა, რომ სადაც ის გაჩნდებოდა, იქ მტერს თავზარი ეცემოდა. შურდათ გიორგის წარმატება, მისი სახელი, და გადაწყვიტეს მოესპოთ იგი.

გიორგი გაექცა ცოფმორეულ ფეოდალებს, ერთგული ამხანაგებითა და ცოლშვილით თავი შეათარა სპარსეთს. ფეოდალებმა გიორგის ღალატი დასწამეს და მისი სახლკარი ცეცხლს მისცეს. სიხარულით მიიღო სპარსეთის მპყრობელმა შაჰ-აბასმა სააკაძე. მან ქართული კარგად იცოდა და გიორგის ასე მიმართა:

— აქ, ჩემო გიორგი, წყნარად ჩქნები შენ და შენს მახლობლებს შიში არავისი გექნებათ. მისმინე, გურჯო გიორგი, — განაგრძო შაჰმა და ოდნავ აიწია ძვირფასი ხალიჩიდან. — ყელამდე ოქროში ჩაგვამ, რადგან ვიცი, შენი ხმალი მტრებს მალე დამიმონებს, ფეხქვეშ გამიგებს...

წინ წადგა გიორგი, თაყვანი სცა შაჰს და მოახსენა:

მასპინძლისათვის, რომელმაც უსახლკარონი შეგვიფარა, სამსახური გვმართებს.. ჩემსა და ამათ ძალღონეს, — ხელი გაიშვირა ქართ-

ველებისაკენ, — შენ შემოგავლებ, დიდო მეფეო! ფიქრით თუ ხმლით თქვენთან ვიქნები მანამ... და აქ ოდნავ გაჩერდა, თვალი შეავლო შაჰს და განაგრძო, — სანამდე მეცოდინება, რომ ჩემი პატარა სამშობლო საქართველო და მოხუცი დედა, რომელიც სახლში დარჩა, კარგად იქნებიან.

მალა ასწია ცალი წარბი შაჰმა.

— დედა მესმის, მაგრამ რა შუაშია საქართველო, რად წუხარ მასზე, განა მან არ გაიძულა დაგეტოვებინა შენი კერა? — უთხრა მბრძანებელმა და შემპარავად გადახედა გიორგის. ღრმად ამოისუნთქა გიორგიმ, განიერ მკერდზე ხელები შემოიჭლო და მოწიწებით მოახსენა:

— ფეოდალების საქართველო არც მე მინდა. მე მწამს შრომიელების საქართველო, რომელიც ჩემში მთარველს ხედავს, მე მას ვეკუთვნი, მე ის მიყვარს.

შაჰი მიხედა გიორგის ნათქვამს, სახე მოარიდა და ცბიერად გაიღიმა, სწრაფად გამოუნახა გზა ქართველ ლტოლვილთა გამოყენებისათვის.

გავიდა რამდენიმე ხანი. შაჰ-აბასმა გიორგის წყალობით რამდენიმე ბრძოლა მოიგო. მისი სახელი მეტი დიდებით შეიმოსა. ირანის მპყრობელი ისე დარწმუნდა გიორგის ერთგულებაში, რომ გადაწყვიტა მისი მეთაურობით ჯარი საქართველოს წინააღმდეგ გამოეგზავნა, საქართველო აეოხრებინა გიორგის ხელით.

წყნარი და მთვარიანი ღამე იყო, როცა შაჰ-აბასმა გაიხმო სააკაძე და უთხრა:

— გურჯო გიორგი! შენი ამავი და თავდადება დაუფასებელია სპარსეთისათვის, — აქ შაჰი ცოტახანს შეჩერდა, გიორგის თვალებს მიაშტერდა და თითქოს ჩურჩულით განაგრძო: — ერთი დავალებაც კიდევ, ერთხელაც იბრძოლე მათ წინააღმდეგ, ვინც შენი კქუა, შენი



ამაგი და თავდადება არ დააფასა. წაიყვანე ჩემი ჯარი და შენებურად თავზარი დაეცი ქართლ-კახეთს, დამიმორჩილე ისინი, ორივემ ამოვიყაროთ მათი ჯავრი; ამისათვის შენ მიიღებ უდიდეს ჯილდოს ჩემგან.


მდიდრულად მორთულ დარბაზში მკედრული სიჩუმე ჩამოვარდა. მძლავრად მოძრაობდა გიორგის მკერდი, ტუჩები გასთეთრებოდა, იგი გრძნობდა დევალების სისასტიკეს: უნდა შესეოდა საკუთარ სამშობლოს, აეოხრებინა ის, რაც თავის თავზე მეტად უყვარდა.

— არა, ამას არასოდეს არ ჩავიდენ, — გაი-

— გურჯო გიორგი, მე პასუხს ველი, — დინჯად წარმოთქვა შაჰმა.

გიორგი გამოერკვა, თაყვანი სცა სპარსეთის მპყრობელს და გაბრწყინებულ მოახსენა:

თქვენი დის ქორწილი ქართლის მეფეზე მხოლოდ ერთი თვის წინათ მოხდა. საჭიროა ძმამ პატარძალს ძღვენი გაუგზავნოს. მოსაკითხის მირთმევას ვიკისრებ მე, ცოტაოდენი გამყოლებით. — აქ გიორგი შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო: — იქ სიმავარეებს ხელში ჩავივლებ, ორი დღის შემდეგ გამოგზავნეთ



მოსაკითხის მირთმევას ვიკისრებ მე...

ფიქრა გიორგიმ, მაგრამ თვალწინ წარმოუდგა შაჰი მთელი სიმკაცრით, მხეცური დაუნდობლობით. გიორგის გონებაში ერთმანეთს შეეჭიდა სამშობლოს სიყვარული და შაჰის ზრახვები. სპარსეთის მპყრობელი კი გველივით წვრილი თვალებით შესცქეროდა გიორგის ბუმბერაზ ფიგურას და ტუჩებს იკვნიტდა.

ჯარი, ისინი გარედან მოადგებიან, შიგნიდან ჩვენ, და ამრიგად თავზარს დაცემთ საქართველოს. საქართველო სამუდამოდ შენს უძლეველ ბრძანებებს დაემორჩილება, შენი მორჩილი გახდება.

გეგმა ნათელი იყო.



შუბლი გაეხსნა შაჰს, ფეხზე წამოდგა და გიორგის დიდ ტანს წინ გაუჩერდა:

— დიდებულია, გურჯო გიორგი! — აღფრთოვანებით წარმოთქვა მან. — ვითომ ჩემ დასთან ძღვენის მიტანაში და შენი ცოლშვილის ნახვაშია საქმე, ნამდვილი მიზეზები კი რუსეთისაკენ მომზირალი ქართველი მეფეების დამორჩილება. შენ შეგიძლია ეს გააკეთო, და ამ გამარჯვების შემდეგ შენი სახელი სპარსელების ისტორიაში ჩაიწერება. მაშ ასე, ერთი კვირის შემდეგ მიდიხარ. მიგაქვს ძღვენი პატარძალთან, — ჩემ დასთან და ქართლის დედოფალთან...

ღამე კარგად იყო გატეხილი, როცა გიორგიმ ზურაბ ერისთავის ოთახის კარი შეაღო. გიორგის ერთგული ზურაბი ფეხზე წამოდგა.

— იწეკი, ზურაბ, — უთხრა გიორგიმ, და ისიც იქვე ჩამოჯდა. გიორგის სახე გაფითრებული ჰქონდა, ზურაბს თვალს არიდებდა. ჩურჩულით დაიწყო:

— ზურაბ, ერთი კვირის შემდეგ მიგვაქვს ძღვენი შაჰის დასთან საქართველოში ჩემი მეთაურობით. ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ, სპარსეთის ჯარიც მოგვეშველება და საქართველო უნდა ავაოხროთ...

გველნაკებნივით წამოვარდა ზურაბი:

— ეგ რა სთქვი, გიორგი, ნუთუ ჩვენი ხმალი, შენი ჭკუა, პატარა, მტერმრავალ საქართველოს წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ?

— არა, ზურაბ, იყუჩე. ჩვენ ძვირად უნდა დავუსვათ შაჰს ეს განზრახვა, ოღონდ დიდი მსხვერპლის გაღება დაგვჭირდება: ჩვენ წავალთ, მაგრამ შაჰი გაიძვრება, ის მთლიანად არ გვენდობა და მძევლებად უსათუოდ დაიტოვებს შენს მეუღლეს და ჩემს შვილს პაატას.

ორივე დადუმდა, ორივეს საშინელი ფიქრი უტრიალებდა.

— მაშ ასე, მოემზადე. კედლებსაც კი ნუ გაანდობ, რაც ჩვენს გულშია, — უთხრა გიორგიმ და გავიდა.

მწარე ფიქრებში გართული გაემგზავრა ის თავიანი შვილის პაატას სანახავად.

ფრთხილად შევიდა გიორგი შვილთან, დააცქერდა პაატას, რომელსაც მშვიდად ეძინა. ნაზად, მორიდებით გადაუსვა ხელი მამამ ხუჭუჭა თმებზე, მაგრამ პაატას მაინც გაეღვიძა.

— შენა ხარ, მამა? — თქვა პაატამ და გაჩუმდა. მან გრძნობით სავსე თვალები მოაპყრო მამას, რომელიც მომავალი უბედურების მოლოდინში ნაზად და მთელი გულისყუროთ დასჩერებოდა შვილს.

— ჩემო საყვარელო შვილო, საქართველოში არავის ნახვა არ გინდა?

— მამაჩემო, დედა ახალი წასულია, დედა მინდა ვნახო, ჩემი ამხანაგები, რაზემეად რომ ვეწყობოდით და საქართველოს „ვიცავდით“: პატარობიდანვე ვემზადებოდი, ესლაკი, როცა დიდი ვარ, შაჰის სასახლეში ფუფუნებით ვცხოვრობ მაშინ, როცა ჩვენი საყვარელი სამშობლო — საქართველო გაჭირებულია. მე ახლა ვერაფრით ვერ ვშველი, მას კი დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. — ამბობდა ვაჟკაცობისა და თავდადების გრძნობით აღვზნებული ჭაბუკი.

— იყუჩე, პაატავ, დავაჟკაცდები და მეტს გაუკეთებ სამშობლოს, მანამდე კი დაისვენე, შეისწავლე შენი სამშობლოს გამირული წარსული და ემზადე მისი ხსნისათვის, მისი გადარჩენისა და აყვავებისათვის.

უთხრა მამამ, შემდეგ წამოდგა და ისევ მიმართა შვილს:

— მშვილობით, პაატავ, მოკლე ხანში მე მივდივარ სალაშქროდ, უცნაური წინათგრძნობა განსაცდელს მანიშნებს, იქნებ ვერ ვნახო... გახსოვდეს ჩემი დარიგება: იბრძოლე სამშობლოსათვის. გიყვარდეს იგი!

გიორგი დაიხარა, აკოცა შვილს და აჩქარებით გავიდა.

\* \* \*

გავიდა რამდენიმე დღე. ხელებზე დაყრდნობილი კითხულობდა პაატა „ვეფხისტყაოსანს“. უცებ ფურცელს თვალი მოაშორა, წაკითხულის აზრმა გაიტაცა.

მოულოდნელად უცნაურით გაიღო კარი. პაატა ანაზღეულად მოტრიალდა. საკვირველება! თვით შაჰი იდგა მის წინ, რომელიც სიბრაზით ცოფს ყრიდა. პაატამ იგრძნო, რომ რალაც საშინელება უახლოვდებოდა, გონება აებნა.

— ძაღლის ლეკვო! — წაუსისინა შაჰმა და ნაბიჯი პაატასაკენ გადადგა. — მამაშენმა ჩემი ჯარი ამოწყვიტა, გესმის, მთელი ჯარი! ეს არაფერი, სპარსეთს კიდევ ჰყავს ჯარი. საქ-



მე ისაა, რომ მამაშენმა საქართველო გადაარჩინა, კიდევ გააძლიერა ის, — ღრიალებდა შაჰი. სახლი სპარსელებით აივსო.

პაატა გამოერკვა, სახე გაუბრწყინდა, უცნაური გამბედაობა იგრძნო, უცებ წამოდგა და აღფრთოვანებით მიახალა შაჰს:

— ასეთია საქართველოს ბედი, ის არ უნდა დაიღუპოს! და განა მამაჩემი თავის ხმალს და ჭკუას დაზოგავდა და თავს საქართველოს არ შემოავლებდა?!

— მამაშენმა, გველო, შვილიც შემოავლო საქართველოს! — ჩაუსისინა შაჰის მხლებელმა.

— მერე რა, მამაჩემის შვილი საქართველოს სიამოვნებით შემოველება, საქართველოს დიდებას მსხვერპლად შეეწირება. ო! მამაჩემო, რა დიდებული ხარ, რა დიდი გრძობაა სამშობლოსათვის თავდადება, როგორ მინდა ეხლა გადაგეხვიო, გეამბორო, მოგილოცო მტერზე გამარჯვება და მეც უენტან, შენს გვერდით ვიბრძოლო მოძალადეთა წინააღმდეგ!

— გაკმინდე ხმა, ძაღლის ლეკვო, შენ ვერ მოესწრები მაგას! შენ ჩემს ხელში ხარ, შენი სისხლით ავინაზდაურებ ათასობით სპარსელთა დაღუპვას, ჩემი ხელით მოგისპობ სიცოცხლეს! — დაუყვირა ცოფმორეულმა შაჰმა.

— ძალა თქვენს ხელშია, შეგიძლიათ ყველაფერი ჩაიდინოთ. მაგრამ სამშობლოს მოლალატედ, შვიშრად და სახელოვანი მამის შემრცხვენელად ვერ მნახავთ. ვერც მოსპობთ საქართველოს, ვერ დაიმორჩილებთ მას, ფეხით ვერ გათელავთ ჩემს სამშობლოს, რადგან ის ზრდის სამშობლოსათვის თავდადებულ შვილებს, გმირებს..

კიდევ უნდოდა რალაცის თქმა პაატას, მაგრამ სასტიკი შაჰ-აბასის ხმალმა უეცრად დააღუპა იგი. მას თავი მოკვეთა.

— გესმით, — ყვიროდა შაჰ-აბასი სახეშეშლილი. — ქვის გული აქვს გურჯ გიორგის, მის გულში საქართველოს სიყვარულზე ძლიერი სხვა არაფერი ყოფილა.



მესამე დღეს მიიღო სააკაძემ „ძღვენი“ გამხეცებული შაჰ-აბასისაგან.



და ცოფმორეული მრისხანე შაჰი განაგრძობდა:

— შეახვიეთ ძვირფას ძოწეულში ეს მოკვეთილი თავი მისი ერთადერთი შვილისა და შიკრიკმა ჩქარა მიართვას სააკაძეს ჩემგან ძღვენად.

მესამე დღეს მიიღო სააკაძემ „ძღვენი“ გამხეცებული შაჰ-აბასისაგან. გიორგიმ კანკალით გადაუსვა ხელი შვილის სისხლიან ქოჩორს და თქვა:

— უყვარდი მამას, მაგრამ უფრო დიდი სამშობლოს სიყვარული და მის წინაშე მოვალეობის შესრულება. შენ კი, სამშობლოს მსხვერპლს, მარად მოგიგონებენ საქართველოს ერთგული შვილები.







## ზოკიოს ჩანახაზები

აი ტოკიო, იაპონიის ვეებერთელა ქალაქი. დიდი მოედნებითა და „ვეროპულ“ ყაიდაზე გაშენებული ქუჩა-შენობებით. მათხოვრებს, ჭავადმყოფებსა და უმუშევრებს ვერასოდეს ვერ დაინახავთ ამ ქალაქის ცენტრალურ რაიონებში: მაძღარი, ყვითლად ჩასუქებული პოლიციელები ქალაქგარეთ ერეკებიან მათ, რათა ტურისტებს „გემოვნება“ არ წაუზნდეთ რომელიმე ლატაკის დანახვაზე.

ქალაქის გარეუბნების ვიწრო, ბნელსა და ნესტიან ქუჩებში ცხოვრობენ უმუშევრები. მათი უმრავლესობა ჭლექითაა დაავადებული, ხოლო ბავშვები რაზიტით.

უხარმაზარსახლებიან რაიონებსა და ღარიბთა უბნებს შორის მიმოსვლა იშვიათია. ღარიბთა უბანში იშვიათად თუ მისცემენ ნებას ტურისტს, რომ დაათვალიეროს ეს ავადმყოფთა სავანე.

ოდესღაც ამ ღარიბთა უბანში ცხოვრობდა გენიალური მხატვარი აი-გაი. მისი სიკვდილის შემდეგ ოდნავ თუ შეუცვლია სახე აქაურ ვიწრო, ნესტიან, ერთ ან, იშვიათად, ორსართულიან, ობებებშემოვლებულ სახლებს. აქა-იქ ბუტყავენ იაპონური ფარნები. ჭიჭრებთან დგანან დაგლეჯილტანსაცმელიანი ქალები და მოწყენით გასცქერიან გზას, სამუშაოს საშოვნელად წასულ ქმარშვილის ელიან. ზურგზე ბავშვები ჰყავთ მოკიდებული. ბავშვები მოწყენილი არიან, მოთხუპნულ ლოყებზე ცრემლების კვალი აჩნიათ ისინი მთელი დღეობით მიკრულნი არიან დედის ზურგს და

რომ გაიზრდებიან, მრუდე ფეხები ექნებათ.

ქუჩის ბოლოს პატარა ყავახანაა. იქ ხშირად იყრიან თავს მამაკაცები და უფასოდ უტყერიან პატარა მოცეკვავე გოგონას. გოგონა ცამეტი წლისაა, მას „მამა-ტიო“ ჰქვია, რაც ნიშნავს ათასწლოვან ცერცვს. იგი მამამისმა ჰეიშთა არტელის პატრონს მიჰყიდა ორას იენად, რომ ოჯახი შიმშილისაგან ეხსნა. იქ იგი ცეკვავს და სთავაზობს შემოსულთ ცხელ საკეს (არაყი). აქ ხშირად თავს იყრიან რევოლუციონერი მუშებიც, ისინი ფულს აგროვებენ, რომ საწყალი „მამა-ტიო“ გამოისყიდონ და მის თვალცრემლიან დედას დაუბრუნონ. მათ ახლახან მონაწილეობა მიიღეს შვიდინოემბრის დემონსტრაციაში.

ლატაკი უმუშევრები მწყობრად გაეშურნენ ტოკიოს ცენტრალურ

ბალისკვენ, რომლის მახლობლად იმპერატორის სასახლეა. მზეზე მბრწყინავი იარაღებით შეიარაღებული შავმუნდირიანი პოლიციელები რუზინის მათრახებით ფანტადნენ ხალხს, მაგრამ დემონსტრაციას სულ ახალ-ახალი მუშები ემატებოდნენ. ისინი მტკიცე რკალად ერთმოდნენ ლერწამზე გამაგრებულ წითელ ალამს და ადგილიდან არ იძროდნენ. მათ შორის იყვნენ რიკშებიც, — ადამიანები, რომლებიც ცხენების როლს ასრულებენ. მათი მარშრუტია იოკოგამიდან ტოკიომდე. ამ მანძილს რიკშები სირბილით გადიან და ამაში 7-12 იენს იღებენ. საბრალონებს სირბილის დროს ფეხთ სისხლი ედით და ოფლში იწურებიან. რიკშები 35 წლამდე ძლივს აღწევენ, უმეტესობა ახალგაზრდობაშივე ზღება ამ საშინელი პროფესიის მსხვერპლი: მათ გულის სიღამბლე ემართებათ.

დემონსტრაციაზე იყვნენ ნავსადგურიდან მოსული მტვირთავებიც, წერილი ხელოსნებიც. . .

როდესაც აქ პროლეტარიატი თავის ძალა-უფლებას დაიმიკვიდრებს, მაშინ მშრომელები აღარ იცხოვრებენ ღარიბთა უბანში ისე, როგორც დიდი აი-გაი, მათი ცხოვრება მზეს დაედარება, რომლის ცხოველმყოფელი წითელი სხივები ძველ დიდ აი-გაის მინიატურებზედაც კი გაშლის დახატულ ხეხილთა კვირტებს და გახუნებულ ცაში მფრინავ მერცხლებს ტკბილად ააქიქებებს.


**გიორგი ბაბუნია.**







1843 წლის 3 ივნისს, პეტერ-ბურგში დაიბადა ცნობილი საბჭოთა მეცნიერი—პროფესორი კლიმენტი არკადის-ძე ტიმირიაზევი. მან თავისი შეუპოვრობით დაიშასურა მეფის რუსეთის მთავრობის სიძულელი და დევნა „ბუნებრიდან ღმერთის განდევნისთვის“ და ამავ მიზეზით საპატიო და სასიყვარულო ადგილი დაიკავა საბჭოთა ხალხის გულში. ლენინი დიდად აფასებდა ტიმირიაზევს. ტიმირიაზევი გარდაიცვალა 1920 წელს.



9 ივნისს 160 წელი სრულდება ინგლისელი გამომგონებლის ჯორჯ სტეფენსონის დაბადებიდან, იგი გარდაიცვალა 1848 წელს.

ჯორჯ სტეფენსონმა პირველმა გამოიგონა ორთქლ-მავალი.

აი ჯორჯ სტეფენსონის მიერ გამოგონებული ორთქლმავალი. ყურადღებით დაათვალიერეთ და შეადარეთ იგი ახლანდელ ორთქლმავლებს.

13 ივნისს, 130 წლის წინათ, დაიბადა უდიდესი რუსი კრიტიკოსი, დემოკრატი და რევოლუციონერი ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი.



ვ. ი. ლენინი ბელინსკს, სთვლიდა რუსული სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად.

ბელინსკიმ დატოვა უამრავი კრიტიკულ—პუბლიცისტური ნაშრომი, რომელთაც უაღრესად გაამდიდრეს რუსული ლიტერატურა. აღსანიშნავია ბელინსკის შორსმჭვრეტელობა: მან ერთი საუკუნით აღრე იწინასწარმეტყველა რუსეთის გამარჯვება. აი რას წერდა ის:

„შეგვშურს ჩვენი შვილის-შვილებისა და შვილის-შვილის შვილების მდგომარეობა, რომლებიც ნახავენ რუსეთს 1940 წელს—განათლებული მსოფლიოს სათავეში მდგომს, მეცნიერებათა და ხელოვნებისათვის კანონების მიმცემს, რომელსაც მთელი განათლებული კაცობრიობა მოწიწებით სცემს პატივს“.

ვ. ბელინსკი

14 ივნისს (1811 წელს) დაიბადა ამერიკელი მწერალი ქალი ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ.



ბიჩერ-სტოუ სასტიკი მოწინააღმდეგე იყო მონობისა, მას აუცილებლად მიაჩნდა მონობისგან ხანგების განთავისუფლება. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა თავისი მეტად ლამაზი და თითქმის ყველასათვის ცნობილი რომანი „ბიძია თომას ქოზი“.

ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ გარდაიცვალა 1896 წელს.

1905 წლის 21 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობით გარდაიცვალა ალექსანდრე (საშა) წულუკიძე.



საშა წულუკიძე იყო იმდროინდელი ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პრობაგანდისტი, პუბლიცისტი და რევოლუციონერი. იგი მთელი არსებით ეკუთვნოდა მუშათა კლასსა და მის იდეებს. ის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო ანხ. სტალინისა და ლადო კეცხოველისა.

საშა წულუკიძე ბევრს გააკეთებდა პროლეტარული რევოლუციის და მშრომელი ხალხისათვის, რომ დაუნდობელ სენს—კლექს არ მოეხსოვრებოდა მისი მგზნებარე სიტყვები.

270 წლის წინათ, 1671 წელს, ქ. მოსკოვში სიკვდილით იქნა დასჯილი მე-17 საუკუნის გლეხთა აჯანყების ბელადი, დონელი კახაკი სტეფანე ტიმოტეს-ძე რაზინი. მან აჯანყა გლეხები ბოიარების წინააღმდეგ, ამისათვის აჯანყებულებმა იგი ატამანად აირჩიეს.



შვიდათასიანი არმიით 1670 წელს რაზინი დონიდან ვოლგისაკენ დაიძრა და დაიკავა ქალაქი ცარიცინი; შემდეგ აიღო ასტრახანი და დაამყარა კახაკური ხელისუფლება.

მისი ბრძანებით აჯანყებულები ანადგურებდნენ ბოიარებს, მემამულეებს, მეფის ჩინოვნიკებს. რაზინის—გლეხთა ომების ამ გულადი წინამძღოლის—სახე შენახულია ხალხურ სიმღერებსა და ლექსებში.



# პიონერი

საბ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და

საბ. განსახკომის ერთობიური შუკნალი

№ 6

036181 1941 წ.

„ПИОНЕРИ“

Журнал Центр. Комитета ЛКСМ Гр. и Наркомпроса Грузии (на грузинском языке).

Издательство „Комунисти“. Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 34. Тел. 3—02—61.

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედვის ქ., № 34. ტელ. 3-02-61.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.		გვ.
1. ი. სტალინი და მ. გორკი (სურათი) . . . . .	1	12. როზა თავდიდშვილი—სამი ყრუ (ზღაპარი) . . .	19
2. მ. ლერმონტოვი—კლდე (ლექსი თარგმანი ა. სიჭი- ნავეას მიერ) . . . . .	2	13. ბრძოლა გავგამელთან (წერილი უწინდელი . . . ბრძოლის ისტორიიდან) . . . . .	20
3. ი. გრიშაშვილი—გორის პიონერების კოცონთან . . . . . (ლექსი) 3	3	14. ვარლამ შურუღი—ტანკის ისტორია (წერილი თავდაცვით თემაზე) . . . . .	21
4. ცქვიტი (ანა ხახუტაშვილი)—ზაირა (მოთხრობა . . . . . დასაწყისი) 4	4	15. მ. ბერკელი—ვაზის ხე (მოთხრობა თარგმანი ან. ჯაიანის მიერ) . . . . .	24
5. ისწავლე მანძილის განსაზღვრა —(სამხედრო ტო- . . . . . პოგრაფიიდან) 7	7	16. არკადი ხუნდაძე—მეჩვიდმეტე წელი (წერილი) 25	25
6. საბანაკოდ წამსვლელთათვის—(რჩევა-დარიგება) . 8	8	17. მარიამ კეჩუაშვილი—პაატა სააკაძე (ისტორი- ული მოთხრობა) . . . . .	26
7. სანდრო ულენტი—ტანკი (ლექსი) . . . . .	10	18. გ. გაბუნია—ტოკიოს ჩანახატები (წერილი) . 30	30
8. ევა ჩაკალიდი—ფრიადები (მინიატურა) . . . . .	11	19. ღირსშესანიშნავ თარიღთა კალენდარი (კ. ტიმი- რიაშვილის, ვ. ბელინსკის, ა. წულუკიძის, ს. სტეფენ- სონის, პ. ბიჩერ-სტოუსა და ს. რაზინის შესა- ხებ) . . . . .	31
9. ნატო ჩუბინიძე—მერაბმა გამოიცნო (ამოცანა- პიესა) . . . . .	12	20. რა არის სისწრაფე? . . . . . გარეკანის მე-4 გვ.	
10. ლადო ბალიაური—კუდბუთუთა (ზღაპარი) . . . 14	14		
11. ომერ-ფაშას შემოსევა — (ზუგდიდელი პიონერ- ბის წერილი) . . . . .	16		

ქურნალი გაფორმებულია მხატვრების ვ. ჯაფოშვილის, გ. ისაევისა და ი. ქოქიაშვილის მიერ:  
გარეკანზე—ნორჩი გეოლოგები. ნან. ი. ქოქიაშვილისა და ვ. ჯაფოშვილის.

### პასუხისმგებელი რედაქტორი—ა. რ. დულაკიძე

ტირაჟი 7750 ხელმოწ. დასაბ. 21/VI 41 წ.  
უე 20261 ანაწყ. ზომა 8 1/4 x 12 = 75.200  
სასტამბო ფორმ. რაოდ. 2.  
საავტორო ფორმა 4.  
გამომც. № 38.  
სტ. შეკვეთა 855



# ჩა პრის სისწრაფე?





მანძილს მოსკოვიდან ლენინგრადამდე ჩქარი მატარებელი 12 საათში გაივლის. წარმოვიდგინოთ, რომ ერთსა და იმავე დროს მატარებელთან ერთად მოსკოვიდან გაეშურნენ მორბენალი, მეთხილამურე, მოცურავე, მოციგურავე, მოტოციკლისტი, თვითმფრინავი, დოლის ცხენი და სკუტერი (მოტორიანი განიერფსკერა ნავი). რომელი მათგანი მივა ლენინგრადში პირველი? ალბათ, ყველანი ერთხმად იტყვიან: თვითმფრინავიო. მართალია.

რომ დავაყენოთ რეკორდსმენ კულდრიავეცევის გვერდით დოლის ცხენი, რომელი უფრო ადრე მივა ფინიშთან?

ამ კითხვაზე პასუხობენ აი ეს ნახატები. სპორტის ოსტატი ტიტოვი ამბობს: „მე“, ე. ი. მეორე მივა მოტოციკლისტი, რომელიც მანძილს გაივლის 4, 5 საათში. შემდეგ მივა სკუტერი, მერე მატარებელი, რამდენიმე წუთის შემდეგ ველოსიპედისტი. შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდება ნოგლუსუნესა და დოლის ცხენს შორის. ცხენი დისტანციას გაივლის 15,5 საათში, რამდენიმე წუთის შემდეგ მივა ნოგლუსუნე, რომელიც ივლიდა რეკორდსმენ კულდრიავეცევის სიჩქარით. უკვე საკმაოდ მეტი დრო დასჭირდება სერაფიმე ზნამენსკის, რომელიც ირბენდა 35 საათს, თავისი საკავშირო რეკორდით. ზნამენსკისთან შედარებით უფრო ნელა გაივლის დისტანციას თხილამურებზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დობროშინი — 44 საათსა და 02 წუთში. ლენინგრადში უკანასკნელი მივა მოცურავე — 113 საათში, და ისიც ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენის ლეონიდ მეშკოვის სიჩქარით.

რასაკვირველია, ყველასათვის ნათელია, რომ ვერც მოცურავე, ვერც მეთხილამურე, ვერც მოციგურავე და ვერც მორბენალი ვერ შესძლებდნენ თავიანთი სარეკორდო მაჩვენებლებით ნამდვილად გაეულოთ ასეთი დიდი მანძილი, როგორცაა მოსკოვი-ლენინგრადი, ეს მხოლოდ თეორიული დაშვებაა არსებული სიჩქარეების ცოდნისათვის.



რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებიან.